



სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2019

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
სახელმწიფო უწყებათშორისი კომისია



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის
სახელმწიფო სტრატეგიის 2019 წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი
2020 წელი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
მისამართი: თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. № 7
ტელეფონი: (+995 32) 2923299; (+995 32) 2922632
ვებ-გვერდი: www.smr.gov.ge
ელ-ფოსტა: press@smr.gov.ge

შესავალი	4
სტრატეგიული მიზანი 1	4
თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.....	4
სტრატეგიული მიზანი 2	29
თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა	29
სტრატეგიული მიზანი 3	36
ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება.....	36
სტრატეგიული მიზანი 4	46
ეთნიკური უმცირესობების კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება	46

შესავალი

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ქვეყნის (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გარდა) მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენენ. საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა იდენტობის დაცვა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია - „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა“. სტრატეგია ეყრდნობა „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია“ მიდგომას და მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის, თანასწორი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას; კულტურული მრავალფეროვნების წახალისებასა და პოპულარიზაციას.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, განხორციელებასა და ანგარიშებას.

2019 წლის განმავლობაში გაგრძელდა სტრატეგიის განხორციელება მასში გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესრულების გზით.

წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც მომზადდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, ასახავს ინფორმაციას სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებების მიერ 2019 წლის სამოქმედო გეგმით (იანვარი-დეკემბერი) განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

სტრატეგიული მიზანი 1

თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განსაზღვრულია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობის გაუმჯობესება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;
- მათი მონაწილეობის/ჩართულობის გაუმჯობესება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ისეთ პოლიტიკურ პროცესებში, როგორიც არის არჩევნები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრული და თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა ინფორმაციასა და მედიაზე, საზოგადოებრივ სერვისებზე, სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით;
- მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა;

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების უფლებების დაცვის ხელშეწყობა და მათი გაძლიერება.

შუალედური მიზანი - 1.1. მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა ამოცანა - 1.1.1 მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

მოცემული ამოცანის ფარგლებში გამოკვეთილია შემდეგი მიმართულებები:

- მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების იდენტობის დაცვის ხელშეწყობა;
- ბოშების რეგისტრაციის უზრუნველყოფა;
- ბოშა ახალგაზრდების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვა.

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული არიან დარგობრივი სამინისტროები.

2019 წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ საჯარო სკოლებში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ბოშა მოზარდების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის მიზნით განხორციელებული საქმიანობები:

- ❖ აქტიურად მიმდინარეობს ბოშა მოზარდების კეთილდღეობისთვის ორგანიზებულ უწყებათშორის და სექტორთშორის სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;
- ❖ ბოშა მოზარდების თანატოლებთან სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით 2014 წლიდან დღემდე, სსიპ ქალაქ ქობულეთის N5 საჯარო სკოლაში, „სოციალური ინკლუზიით“, არაფორმალურ გარემოში ხორციელდება დაწყებითი კლასების (8-11წ.) და უფროსკლასელი (11-15 წ.) ბოშა მოზარდების ჩართვა. სკოლაში მუშაობს კითხვის (12 ბოშა და 8 ადგილობრივი თანატოლი), ცეკვისა (8 ბოშა და 7 ადგილობრივი თანატოლი) და თეატრის (7 ბოშა და 8 ადგილობრივი თანატოლი) კლუბები. აღნიშნულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ბოშა მოზარდებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, რაც პოზიტიურად აისახა მათ აკადემიურ მოსწრებაზეც;
- ❖ 2017-2019 წლებში, არაფორმალური განათლების გზით განხორციელდა ე. წ. „უხილავი“ ბოშა მოზარდების საგანმანათლებლო გარემოში ჩართულობა და შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. ისინი სწავლობენ საბაზისო საფეხურზე, სადაც სწავლება მიმდინარეობს სპეციალურად მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური გეგმით;
- ❖ 2017-2019 წლებში ქ. ზუგდიდისა და ქ. ფოთის საჯარო სკოლების მიერ საგრანტო კონკურსით, ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის შეთავაზებული იყო გასვლითი ტრენინგები, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ბოშა მოზარდებსა და მათ თანატოლებს საშუალება ჰქონდათ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ ინფორმაცია ბოშათა თემის კულტურისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ;

წლის განმავლობაში სოციალური ინკლუზიის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში ჩართული იყო 65 ბოშა მოზარდი. დასაქმდა 8 ბოშა (სოციალური ინკლუზიის პროგრამის ბოშათა თემის კოორდინატორებად, მათ შორის 1 ცეკვის მასწავლებლად, 1 მოკლევადიანი (სეზონური) კონტრაქტით

კერძო სექტორში, ფოსტის კურიერად. გარდა აღნიშნულისა, ამავე პროგრამის ფარგლებში, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების, მათ შორის ბოშა ბავშვების განათლების უფლების უზრუნველსაყოფად სამინისტრო მუშაობს სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის განათლების მეორე შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით, კერძოდ სამინისტრო ახორციელებს სპეციალურ საგანმანათლებლო სერვისს (ტრანზიტულ პროგრამებს) სკოლის მიღმა დარჩენილი ან დარჩენის მაღალი რისკის მქონე მოზარდების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაცია-რეინტეგრაციისთვის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრებისა და სხვა ზრუნვის სერვისების ბაზაზე.

1.1.1.1 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება

წლის განმავლობაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულ ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები და შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობით, მათ შორის „ნოვრუხ ბაირამის“ ღონისძიება, (200-მდე სტუმარი).

1.1.1.2 ქ. ბათუმში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის, „მეგობრობის სახლი“-ს ფარგლებში საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოწესრიგების საკითხში დახმარების გაწევა

მიმდინარე წელს „მეგობრობის სახლმა“ კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინა დახმარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 35 ბენეფიციარს. საჭიროებები მოიცავდა როგორც საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოწესრიგებას, ასევე ქონების რეგისტრაციის საკითხებს, უცხო ქვეყნების სავიზო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღებას, კერძო სამეწარმეო საქმიანობის შესახებ საინფორმაციო მხარდაჭერას. გარდა ამისა, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მომართვის შესაბამისად, განხორციელდა არასახელმწიფო ენაზე შედგენილი სხვადასხვა დოკუმენტების თარგმნა სანოტარო დამოწმებით, ასევე ქართულად შედგენილი დოკუმენტების თარგმნა საჭირო ენებზე.

1.1.1.3 ქ. ბათუმში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმაციების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ადგილობრივ დონეზე ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით „მეგობრობის სახლის“ ბენეფიციარები აქტიურად იყვნენ ჩართული 2019 წლის ბიუჯეტის საჯარო პრეზენტაციასა და 2020 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვების პროცესში.

2019 წლის 22 იანვარს „მეგობრობის სახლში“, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა 2019 წლის ბიუჯეტის გაცნობის მიზნით გამართეს შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, რომელსაც დაესწრო 9 ეთნიკური ჯგუფის (აზერბაიჯანელი, ბერძენი, გერმანელი, ებრაელი, თურქი, იეზიდის, რუსი, სომეხი, უკრაინელი) 20 წარმომადგენელი. შეხვედრის დროს, დეტალურად იქნა განხილული 2019 წელს დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების დაფინანსება, სადაც გამოითქვა იდეა „ბათუმობის“ ფარგლებში ბათუმში წარმოდგენილი მრავალეთნიკურობის წარმოჩენის თაობაზე. შედეგად, 2019 „ბათუმობაზე“ ბათუმის ბულვარში გამართულ ღონისძიებებზე ერთ-ერთ ცენტრალურ სანახაობას წარმოადგენდა ე.წ. „მეგობრობის ხეივანი“.

2019 წლის 15 ოქტომბერს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით „მეგობრობის სახლში“ გაიმართა შეხვედრა ქ. ბათუმში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის მიზნით. შეხვედრას დაესწრო

ეთნიკური უმცირესობების 26 წარმომადგენელი. შეხვედრის დროს გამოითქვა სურვილი ბიუჯეტში ეთნიკურ უმცირესობათათვის გამოყოფილი თანხის გაზრდის თაობაზე, რაც გათვალისწინებული იქნა 2020 წლის ბიუჯეტში.

1.1.1.4 მუნიციპალიტეტების მიერ ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცება, რომელიც მოიცავს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობ ღონისძიებებს

ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში, დასრულდა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი. დოკუმენტი გაწერილია 3 წლიან პერიოდზე და ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით, სხვადასხვა პროექტის, პროგრამისა და ღონისძიების განხორციელებას.

დოკუმენტის შემუშავების პროცესი მოიცავდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის ჩატარებას (ფოკუს ჯგუფები); შეხვედრებს არასამთავრობო/სამთავრობო სექტორთან, კომუნიკაციას განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

დოკუმენტით განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ❖ არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- ❖ უსაფრთხო გარემო;
- ❖ განვითარების თანაბარი შესაძლებლობები;
- ❖ თვითრეალიზების ხელშეწყობა;
- ❖ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

1.1.1.5 დაბადების/პირადობის მოწმობების არმქონე ან ხარვეზიანი დოკუმენტების მქონე პირებისათვის დოკუმენტირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება

2019 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, პროექტის „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში ბოშათა თემის 9 წარმომადგენლისათვის უზრუნველყო საიდენტიფიკაციო მონაცემების მოწესრიგება. გაიცა 1 ბინადრობის მოწმობა, 1 დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, 3 შემთხვევაში დადგინდა საქართველოს მოქალაქეობა (გაიცა ID ბარათი), გაიცა 3 დაბადების მოწმობა, 1 შემთხვევაში დადგინდა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი.

შუალედური მიზანი: 1.2 გენდერული მეინსტრიმინგი

ამოცანა: 1.2.1 გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა

წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიის საქმიანობაში ჩართულმა სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს კონკრეტული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

- ქალთა უფლებების/გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ოჯახში ძალადობა/ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემატიკაზე ინტენსიურ რეჟიმში იმართებოდა საინფორმაციო შეხვედრები. გაფართოვდა შეხვედრების არეალი და ბენეფიციართა რიცხვი. ზემოაღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების გადამზადება, რომელთაც გაავრცელეს ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

2019 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარებას, რის შედეგადაც მომზადდა კონკრეტული საპროექტო წინადადებები.

1.2.1.1 გენდერული თანასწორობის თემაზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში 20-მდე შეხვედრა გაიმართა. მათ შორის: ქ. თბილისში 17, ხოლო ქ. რუსთავში, ქ. მარნეულსა და სოფელ იორმულანლოში თითო-თითო შეხვედრა. შეხვედრების ფარგლებში მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრაქტიკულ საკითხებზე, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე, ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე, ქორწინების იძულებაზე, ბულინგზე, მის უარყოფით გავლენებსა და მისგან თავის დაცვის საშუალებებზე. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 500-მდე მოსწავლემ. ამასთანავე, 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები. კამპანიის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც საერთაშორისო, ისე თემატურ, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

2019 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, შვედეთის მთავრობის დაფინანსებითა და გაეროს პროგრამის - „გენდერული თანასწორობისათვის“ - ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინიციატივით, 18 დღიანი საინფორმაციო კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“ განხორციელდა. კამპანიის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით არაერთი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრები ჩატარდა ქ. გორში, ქ. კასპში, ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში, ქ. ქუთაისში, ქ. თელავში, ქ. გარდაბანში, ქ. დმანისში, სოფელ მუხრანში, ქ. რუსთავში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსალარში, ქ. მარნეულში, ქ. საგარეჯოში, სოფელ ბაიდარში და სხვა (სულ 15 შეხვედრა). შეხვედრებში მონაწილეობდნენ, როგორც სკოლის მოსწავლეები, ისე მასწავლებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა დაინტერესებული მხარეები. (1000 ბენეფიციარი). 2019 წლის 15-22 ნოემბერს, პირველად, საქართველოში თანასწორობის კვირეული გაიმართა. კვირეულის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა, სადაც ახალგაზრდებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებსა და ჯგუფის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ინფორმაცია მიეღოთ თანასწორობის მნიშვნელობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. ზემოაღნიშნული აქტივობების ფარგლებში განხორციელებულ საინფორმაციო შეხვედრებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

1.2.1.2 ქალთა მეწარმეობის გაძლიერება - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „წარმოე საქართველოში“

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა 2019 წელს არ განხორციელებულა, შესაბამისად არ შესრულებულა აქტივობები ქალთა მეწარმეობის გაძლიერების სფეროში.

1.2.1.3 მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების გადამზადება ბუღინგის პრევენციისა და ტოლერანტული კულტურის წახალისების ასევე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე

2019 წელს საქართველოს მასშტაბით 453 მსმენელს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, (მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები) ჩაუტარდა ტრენინგი „ბუღინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის წახალისება სკოლებში“.

1.2.1.4 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულმა საბჭომ 2019 წელს 14 ღონისძიება განახორციელა სხვადასხვა მიმართულებით.

1.2.1.5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზება

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

1.2.1.6 ქ. ბათუმის „მეგობრობის სახლი“-ში მოქმედი „ქალთა კლუბი“-ს ფარგლებში შეხვედრების ორგანიზება, ქალთა მიმართ ძალადობის შემცირების/პრევენციის მიზნით

„მეგობრობის სახლი“-ს ფარგლებში არსებულ „ქალთა კლუბში“ რეგისტრირებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 32 ბენეფიციარი. საანგარიშო წელს ყოველთვიურად იმართებოდა შეხვედრები ქალთა ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური გაძლიერების მიზნით, მათი უფლებების დასაცავად, ხორციელდებოდა საინფორმაციო კამპანიები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და სხვა სახის პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების თაობაზე, როგორცაა ძალადობის მსხვერპლის (სავარაუდო მსხვერპლის) მოძალადისაგან განრიდების უზრუნველყოფა.

1.2.1.7 გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებში და თემატურ ტრენინგებში ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

1.2.1.8 საინფორმაციო შეხვედრები გენდერული თანასწორობის თემატიკაზე ეთნიკურ ჯგუფებთან - ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული „მეგობრობის სახლი“-ს წევრებთან

სსიპ აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს მხარდაჭერითა და „მეგობრობის სახლის“ ორგანიზებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან გაიმართა 2 საინფორმაციო შეხვედრა გენდერულ საკითხებზე, ასევე კონსულტაცია გაეწიათ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრო ეთნიკური უმცირესობების 70 წარმომადგენელი.

1.2.1.9 გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, ქ. ბათუმის „მეგობრობის სახლში“ გაიმართა სამართლებრივი საკონსულტაციო შეხვედრები იურიდიულ საკონსულტაციო დაწესებულებებთან

2019 ნოემბერში ქალთა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიზნით სამთავრობო კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო-საკონსულტაციო 3 შეხვედრა, რომელსაც დაესწრო ეთნიკური უმცირესობების 35 წარმომადგენელი. შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: ოჯახური ძალადობა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირება; შესაბამისი რეაგირების შესაძლებლობები.

1.2.1.10 მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახების“ ფარგლებში შეხვედრების ჩატარება „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის“ შესახებ

კახეთის რეგიონის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიტაანისა და ჩუმაღის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურისა და მუნიციპალური სერვისი - „ქალთა ოთახის“ მიერ დაიგეგმა და ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, მათ შორის „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის“ შესახებ.

1.2.1.11 აკადემიის IV კურსის იუნკერებისათვის შეფასებადი ლექცია (4 სთ) გენდერული თანასწორობის პრინციპებზე

2019 წელს თავდაცვის აკადემიის იუნკერთათვის ჩატარდა შეფასებადი ლექცია (4 სთ) გენდერული თანასწორობის პრინციპებზე.

1.2.1.12 I კურსის იუნკერებისათვის გაცნობითი სახის ტრენინგი (2 სთ) გენდერული თანასწორობის პრინციპებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

1.2.1.13 2019-2020 აკადემიური წლისათვის აკადემიაში ჩარიცხული მსმენელებისათვის გაცნობითი სახის ტრენინგი (2 სთ) გენდერული თანასწორობის პრინციპებზე

2019 წელს აკადემიაში ჩარიცხული მსმენელებისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ჩატარდა გაცნობითი სახის ტრენინგი (2 სთ) გენდერული თანასწორობის პრინციპებზე.

1.2.1.14 მუნიციპალურ სერვის „ქალთა ოთახებში“ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, ქალთა მიმართ ძალადობის შემცირება/პრევენციაზე, ასევე მათ უფლებებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობაზე ორიენტირებული შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება (ქალთა ბიზნეს სტარტაპებზე, მეწარმეობაზე)

ქვემო ქართლის რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში აქტიურად ტარდებოდა საინფორმაციო კამპანიები მოსახლეობასთან ადრეული ქორწინების პრევენციისა და ქალთა მიმართ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობაზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, უფლებებზე, გენდერულ თანასწორობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე; ბიზნესპროექტებზე მუშაობა/სწავლების მიმართულებით. ზემოხსენებული საკითხების ფარგლებში ჩატარდა 50-მდე შეხვედრა/ტრენინგი, სადაც მონაწილეობა მიიღო 400-მდე ბენეფიციარმა. აღსანიშნავია, რომ მეწარმე ქალების გაძლიერების მიზნით დაფინანსდა 2 პროექტი.

1.2.1.15 დასაქმების დროს, გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვა, მმართველობით საბჭოებში გენდერული ბალანსის დაცვა

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების (ქ. რუსთავის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის) მერიებში დასაქმების დროს დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპი და 200 -მდე ქალია დასაქმებული.

- ❖ ბოლნისის მერიაში დასაქმებული საერთო რაოდენობიდან, 180 ადამიანიდან 85 ქალია.
- ❖ მარნეულის მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 215 ადამიანი, აქედან 74 ქალი;
- ❖ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მერიაში დასაქმებულ მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა შეადგენს 118-ს, საიდანაც 76 კაცი და 42 ქალია.

- ❖ გარდაბნის მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 88 ქალი და 101 კაცი.
- ❖ დმანისის მუნიციპალიტეტში 23 ქალი და 70 კაცი.
- ❖ რუსთავის მუნიციპალიტეტში 124 ქალი და 99 კაცი.
- ❖ წალკის მუნიციპალიტეტში 26 ქალი და 64 კაცი.

1.2.1.16 გენდერული საბჭოების შექმნა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ქვემო ქართლის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული საბჭოების სხდომები ტარდება საკრებულოებში

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში აქტიურად ტარდებოდა (ქ. რუსთავის, დმანისის, მარნეულისა და ბოლნისის) გენდერული საბჭოს შეხვედრები, მათ შორის გასვლითი სხდომები. შეხვედრებში აქტიურად მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭომ კვლევის ჩატარების მიზნით 5 სოფელში ჩაატარა შეხვედრები. გარდაბნის მუნიციპალიტეტში გენდერული საბჭოს ინიციატივით ჩატარდა ტრენინგები და სასწავლო შეხვედრები საჯარო სამსახურის თანამშრომლებისათვის და მეწარმე ქალებისათვის. წალკის მუნიციპალიტეტში ჩატარდა გენდერული საბჭოს სამი შეხვედრა.

1.2.1.17 პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში თანატოლგანმანათლებელთა გადამზადება (TOT ტრენინგის ჩატარება) და მათ მიერ გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინების შესახებ ტრენინგების/შეხვედრების ჩატარება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან (ATIP Fund) პარტნიორობით გადამზადდნენ მოხალისე თანატოლგანმანათლებლები, რომლებმაც პროექტის ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის შედეგად 2018-2019 წლებში, 21 მუნიციპალიტეტის 147 სოფელში ჩაატარეს 217 შეხვედრა. შეხვედრებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 5 300 - ზე მეტ ბენეფიციარს მიეწოდა ინფორმაცია გენდერული თანასწორობის, ადრეული ქორწინების, ოჯახში ძალადობის, რეფერირების მექანიზმებისა და სხვა საკითხების შესახებ.

1.2.1.18 სასწავლო ტრენინგ-კურსი „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“ პანკისის ხეობაში მცხოვრები ქალებისათვის

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში პანკისის ხეობაში მცხოვრები ქალებისთვის, მათი ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, განხორციელდა სასწავლო ტრენინგ-კურსი „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“, რომლის დასრულების შემდგომ გაეროს ქალთა ფონდიდან, 2019 წელს პანკისის ხეობიდან ტრენინგ-კურსში ჩართული 14 მონაწილიდან 11-მა საგრანტო დაფინანსება მიიღო ბიზნესის დასაწყებად;

1.2.1.19 - 1.2.1.20 გენდერული ოთახების ფარგლებში შეხვედრების/ღონისძიებების ჩატარება

გენდერული თანასწორობის საკითხებზე სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენელი კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტებში შექმნილ გენდერულ საბჭოებს. ამ კუთხით მხარის ადმინისტრაციის ინიციატივითა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით კვლავ გაგრძელდა ტრენინგების ციკლი გენდერულ საკითხებზე. ტრენინგებში აქტიურად არიან ჩართულები ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ქალთა ოთახების წარმომადგენლები.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტში არსებულ „ქალთა ოთახებში“ 2019 წელს, 5 სოფელში 30 შეხვედრა გაიმართა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუდანლოს ქალთა ოთახის ინიციატივით: სოფელ იორმუდანლოს პოლიკლინიკაში მოწვეული ექიმების მიერ, 40 ბენეფიციარს ჩაუტარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევა. 2019 წელს თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ და თელავის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახმა“ მოსახლეობასთან 2 შეხვედრა გამართა, რომელშიც მონაწილეობდნენ თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 30-მდე წარმომადგენელი. ყარაჯალაში მოეწყო შეხვედრები როგორც სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, ასევე საბავშვო ბაღის ადმინისტრაციასა და ბავშვების მშობლებთან. შეხვედრებზე იმსჯელეს ადრეულ ქორწინებაზე, მის უარყოფით მხარეებზე, ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და სამედიცინო პრობლემებზე.

შუალედური მიზანი: 1.3 სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

ამოცანა: 1.3.1 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმნაში საჭიროებისამებრ ხელშეწყობა

1.3.1.1 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე არსებული სახელმწიფო სერვისების პოპულარიზაციის მიზნით საგანმანათლებლო საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება თბილისსა და რეგიონებში

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, კერძოდ: 22 იანვარს ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის N8 საჯარო სკოლაში, თემაზე - „ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებები და დაცვის გარანტიები, ფონდის მომსახურებები და ოჯახში ძალადობისაგან და ტრეფიკინგისაგან თავის დაცვის საშუალებები და ხერხები“ (დაესწრო აზერბაიჯანული სექტორის 65 მოსწავლე); 8 თებერვალს გარდაბნის რაიონის ორ სოფელში (სოფელი გამარჯვება და სოფელი ყარაჯალა), თემაზე - „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო სერვისების შესახებ“ (დაესწრო აზერბაიჯანული სექტორის 105 მოსწავლე); 22 თებერვალს ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის N4 და N8 საჯარო სკოლებში, თემაზე - „ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებები და დაცვის გარანტიები, ფონდის მომსახურებები და ოჯახში ძალადობისაგან და ტრეფიკინგისაგან თავის დაცვის საშუალებები და ხერხები“ (დაესწრო 105 მოსწავლე).

1.3.1.2 ქ. ბათუმის „მეგობრობის სახლი“-ს საქმიანობის ფარგლებში არაქართულენოვანი განცხადებებისა და სხვა დოკუმენტაციის თარგმანის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში სანოტარო დამოწმებით (რუსულ, უკრაინულ და ბერძნულ ენებზე) იხილეთ 1.1.1.2

1.3.1.3 სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის საჯარო დაწესებულებისათვის წარსადგენი, არასახელმწიფო ენაზე შედგენილი განცხადებებისა და დოკუმენტების თარგმანის ხელშეწყობა

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში და რეგიონის მუნიციპალიტეტებში მოქალაქეებს არ შექმნიათ დაბრკოლება ენობრივი ბარიერის გამო. მათ შესაბამის განმარტებებს და რეკომენდაციებს აძლევენ მშობლიურ ან მათთვის გასაგებ ენებზე.

ამოცანა: 1.3.2 ეთნიკური უმცირესობათა ჩართულობის გაუმჯობესება სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციაში

1.3.2.1 ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა თბილისის საკრებულოს საქმიანობაში. საკრებულოში გამართულ მნიშვნელოვან შეხვედრებსა და საკრებულოსა და კომისიების სხდომებში მათი მონაწილეობა - ქ.თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

1.3.2.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საბჭოს სხდომების ჩატარება

საანგარიშო პერიოდში ქ. თელავში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. ეთნიკური უმცირესობებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა საკითხების განხილვაში. სხდომაზე ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში განხორციელებული სხვადასხვა სოციალურ - ეკონომიკური პროექტის შესახებ ანგარიში წარადგინეს.

1.3.2.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საბჭოს სხდომების ჩატარება

ქ. რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან არსებული საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა რეგიონში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თემის ლიდერებმა, საგანმანათლებლო სფეროსა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ასევე ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლებმა მიიღეს. საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის მნიშვნელობაზე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობასა და ეთნიკური უმცირესობების კულტურის წახალისებაზე, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობაზე (გამოწვევებზე რომელიც ამ მიმართულებით არის, კერძოდ, სკოლებში არასაკმარისი სახელმძღვანელოების რაოდენობა და ინფრასტრუქტურული პრობლემები, რეგიონში საბავშვო ბაღების სიმცირე), აგრეთვე ადრეული ქორწინების პრობლემებზე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწყობისკენ. ხაზი გაესვა მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის თემაზე მომუშავე სათათბირო საბჭოების შექმნისა და ფუნქციონირების მიზანშეწონილობას.

1.3.2.4 გუბერნატორის ადმინისტრაციაში საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიზნით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება, სათანადო შეხვედრების ორგანიზება სასწავლო დაწესებულებებში - არ გვაქვს ინფორმაცია.

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებულ შეხვედრებზე, ახალგაზრდებს ინფორმაცია მიეწოდებათ საჯარო სამსახურებში საკონკურსო შერჩევებში მონაწილეობის შესახებ.

ამოცანა: 1.3.3 საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის

1.3.3.1 ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებზე საგანმანათლებლო და ვიდეო მასალების მომზადება/გავრცელება

„ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ „უსაფრთხო სისხლის“ და „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებზე საგანმანათლებლო ბეჭდური და ვიდეო მასალები მომზადდა და გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების (სომხურ და აზერბაიჯანულ) მშობლიურ ენებზე; წლის განმავლობაში დაიბეჭდა 15 სახეობის მასალა; ასევე, მომზადდა 3 სატელევიზიო კლიპი ქართულ ენაზე სუბ-ტიტრებით ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე.

სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განხორციელებულ საინფორმაციო კამპანიაში, კერძოდ: ჩატარდა 2 შეხვედრა ცენტრის წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია C ჰეპატიტისა და კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ადგილზე განხორციელდა C ჰეპატიტის სკრინინგის აქცია. მონაწილეებს გადაეცათ საგანმანათლებლო სახის მასალები.

„ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 4 ტრენინგი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული მუნიციპალიტეტების (ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახმეტა) წარმომადგენლები. ტრენინგებზე განხილულ იქნა ციფრული ჯანმრთელობა და კომუნიკაციის პრინციპები საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში. განხორციელდა სხვადასხვა ტიპის კვლევები დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში:

- ❖ „ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა - ESPAD 2019“ - ESPAD კვლევის დროს ეთნიკური უმცირესობებისათვის გამოყენებულ იქნა კითხვარები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- ❖ „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“;
- ❖ „ბავშვთა ასაკის სიმსუქნის ეპიდემიკური მდგომარეობის ინიციატივა“;
- ❖ „თამბაქოს პრევალენტობის პოპულაციური კვლევა“.

1.3.3.2 საკრებულოს საქმიანობის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

1.3.3.3 საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალური პროგრამების (განათლების პროგრამები, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები, სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებები) გაცნობა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

1.3.3.4 საინფორმაციო კამპანია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

1.3.3.5 საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა 2019 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის 125-მდე ღონისძიება გამართა, რომლის ფარგლებშიც 3400-მდე ადამიანთან შედგა პირდაპირი კომუნიკაცია.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი სისტემატურად ახორციელებდა სხვადასხვა სახის აქტივობას, მათ შორის, საჯარო ღონისძიებებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებსა და კამპანიებს, ღია დისკუსიებს, საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ინფორმაციას აწვდიდა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის, ასოცირების შეთანხმებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. შეხვედრები ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში: გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა. შეხვედრები გაიმართა პანკისის ხეობაში, ლაგოდეხში, საგარეჯოსა და თელავში. საინფორმაციო ცენტრმა წლის განმავლობაში შეხვედრები ჩაატარა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან: მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მედიასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. აქტივობა 1.3.3.5 შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ გაიმართა 21 ღონისძიება და პირდაპირი კომუნიკაციის გზით 1200-მდე ბენეფიციარს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისა და მისგან მომდინარე სარგებლის შესახებ.

დამატებითი ღონისძიება:

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით 2019 წლიდან ახორციელებს მასშტაბურ პროექტს „დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ათივე რეგიონის მოსახლეობისათვის ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე ობიექტური და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებას ცენტრის რეგიონული შესაძლებლობების გაძლიერების გზითა და ზემოთ აღნიშნული თემების მედია გაშუქების გაზრდით რეგიონული მაუწყებლობების ქსელის, ბეჭდური და ონლაინ-მედიის საშუალებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სისტემატურად ხორციელდებოდა საინფორმაციო შეხვედრები. რაც შეეხება მედია გაშუქების გაზრდას, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიებზე მომუშავე ხუთმა ადგილობრივმა პარტნიორმა მედიასაშუალებამ (ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში) 2019 წელს საქართველოს დასავლური ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით 48 შინაარსობრივი პროდუქტი მოამზადა.

ქ. თეთრიწყაროში საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით აშენდა და გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი; ასევე, მიმდინარეობს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა.

1.3.3.6 პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ ფარგლებში საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ToT ტრენინგის ჩატარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის

პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის, და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის” (PITA) ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენებზე. ამ მიზნით, საანგარიშო წლის ოქტომბერში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 20 ახალგაზრდისთვის როგორც თბილისიდან, ასევე, ქვემო ქართლიდან, კახეთიდან, სამცხე ჯავახეთიდან ჩატარდა ტრენერთა სკოლა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები შეხვდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და მოწვეულ ექსპერტებს, მიიღეს ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე, ევროპული ღირებულებების, ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებისა და მისწრაფებების შესახებ. ტრენინგის შედეგად, პროექტის მონაწილეები გახდნენ თანატოლგანმანათლებლები/მულტიპლიკატორები, რომლებიც თავიანთ რეგიონებში გაავრცელებენ ინფორმაციას და ჩაატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობისა და დასავლური ღირებულებების შესახებ შემდეგ სამიზნე ჯგუფთან: მშობლებსა და პედაგოგებთან, სკოლის მოსწავლეებთან.

1.3.3.7 პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ ფარგლებში საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენებზე. ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა (20 მონაწილე), 39 მუნიციპალიტეტის 152 სოფელში ჩაატარა 179 შეხვედრა, რომელსაც დაესწრო ეთნიკური უმცირესობების 3376 წარმომადგენელი - მშობლები, პედაგოგები და მოსწავლეები. გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალები.

1.3.3.8 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობის/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების გაცნობის მიზნით შეხვედრების ჩატარება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრი და აპარატის წარმომადგენლები ინტენსიურად მართავდნენ შეხვედრებს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობასთან, სახელმწიფო პოლიტიკისა და უფლებების გაცნობის მიზნით (ჩატარდა 10 შეხვედრა).

1.3.3.9 პროექტის „პანკისის ხეობის საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის საქართველოს ევროპული და აევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით“ ფარგლებში ღონისძიებების განხორციელება

ჩატარდა ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც პროექტის მონაწილე მასწავლებლებმა როგორც პრემიერ-მინისტრს, ასევე, ევროკავშირის ელჩს სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მიღებული გამოცდილება გაუზიარეს. გარდა ამისა, პედაგოგებმა, სასწავლო ვიზიტისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, ჩაატარეს ღია გაკვეთილები სახელწოდებით - „ევროპა ჩემს გაკვეთილზე“. პროექტის მონაწილე პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს „ევროპის დღეები 2019-ში“.

1.3.3.10 იუსტიციის სახლების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში, იუსტიციის სახლების მშენებლობის ხელშეწყობა (სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, მიწის ნაკვეთების გამოყოფა)

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა: ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში იუსტიციის სახლების მშენებლობის ხელშეწყობის კუთხით, 2019 წლის 27 დეკემბერს გაიხსნა ბოლნისის იუსტიციის სახლის ფილიალი.

1.3.3.11 საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების (მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე გავრცელება რეგიონებში)

2019 წლის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, საზოგადოებრივ ცენტრებში გავრცელდა 74 450 ბროშურა, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის საკითხებს. გარდა ამისა, 2019 წელს (ოქტომბერში) ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში (კუმურდოს, ფოკას, ბარაღეთის, სადახლოს, კაზრეთის, იორმუდანლოს, კაბალის, მარტყოფის, სართიჭალის საზოგადოებრივი ცენტრები) გავრცელდა საჯარო რეესტრის - ბიზნეს რეესტრის ახალი ელექტრონული სერვისების შესახებ საინფორმაციო მასალები, კერძოდ 7 000 ცალი ტრიპლეტი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნული ტრიპლეტები დარიგდა ქართულენოვან სოფლებშიც (საზოგადოებრივ ცენტრებში). ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია, რომ წლის მანძილზე საქართველოს მასშტაბით გაიხსნა დამატებით საზოგადოებრივი ცენტრები, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, კერძოდ - სოფელ ყაჩაღანში.

1.3.3.12 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ

წლის განმავლობაში ტრენინგი ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების შესახებ პენიტენციურ სისტემაში გაიარა 278-მა ბენეფიციარმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა. უფლებების გაცნობისას, ენობრივი ბარიერის შემთხვევაში, ხორციელდებოდა ბენეფიციარის თარჯიმნით უზრუნველყოფა. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებებში სოციალურ მუშაკებს აქვთ ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების ელექტრონული ვერსია 5 ენაზე (ინგლისური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული) და მოთხოვნის შემთხვევაში დაბეჭდილი სახით გადასცემენ ბრალდებულს/მსჯავრდებულს.

ამოცანა: 1.3.4. საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაზრდა და პროფესიული განვითარება

1.3.4.1-1.3.4.2 1+4 სტაჟირების პროგრამის განხორციელება

გაგრძელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის, „1+4“ პროგრამის ბენეფიციარებისთვის, საჯარო უწყებებში სტაჟირების პროგრამის განხორციელება. აღნიშნული პროგრამა, რომელიც 2017 წლიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით ხორციელდება პოპულარობით სარგებლობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებში. პროგრამის გავლის შემდეგ ახალგაზრდებმა დაიწყეს თავიანთი პროფესიული კარიერა არაქართულენოვან სკოლებში, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სხვა ინსტიტუტებში. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. 2019 წლის განმავლობაში სტაჟირება გაიარა 87-მა ახალგაზრდამ. დღემდე სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 298 ახალგაზრდამ.

1.3.4.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის სამუშაო პრაქტიკის უზრუნველყოფა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

1.3.4.4 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში გუბერნატორის, მუნიციპალიტეტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელების შეხვედრების ორგანიზება საჯარო სამსახურების საქმიანობის გაცნობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმების მიზნით

2019 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული და ადმინისტრაციის თანამშრომლები 7-ჯერ შეხვედრენ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს. შეხვედრების მიზანი იყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გაცნობა, აგრეთვე საჯარო სამსახურებში მიღების პროცედურებისა და სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის გაცნობა.

1.3.4.5 საჯარო სამსახურებში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საჯარო მოხელეების ჩართულობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში

2013 წლიდან ახალქალაქში ფუნქციონირებს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, ახალქალაქის რეგიონული სასწავლო ცენტრი. ცენტრი ადგილზე ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამას, ხოლო 2015 წლიდან დაიწყო დარგობრივი პროგრამების სწავლებაც. საანგარიშო პერიოდში სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამით გადამზადდა ეთნიკური უმცირესობების 30 წარმომადგენელი.

შუალედური მიზანი: 1.4 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

ამოცანა: 1.4.1 ეთნიკური უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევის გაკეთების უზრუნველყოფა

2019 წლის 19 მაისს, საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა, საქართველოს პარლამენტისა (I და II ტური) და საკრებულოების შუალედური, ასევე მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები, მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები.¹

1.4.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება:

1. „საარჩევნო განვითარების სკოლა“ (18-24 წლამდე ახალგაზრდებისთვის);
2. „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“
(საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის);

¹ 2019 წლის 19 მაისს, არჩევნები ჩატარდა: საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №1 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საგარეჯოს, ახმეტის, ადიგენის, ზესტაფონის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, მარნეულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები. მოქალაქეებმა, მაჟორიტარული სისტემით აირჩიეს საქართველოს პარლამენტის ერთი წევრი, რვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რვა წევრი და ხუთი მუნიციპალიტეტის ხუთი მერი.

3. „სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში“ (ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის);
4. „საარჩევნო ადმინისტრატორის საინფორმაციო- სასწავლო კურსები“ (18 წლიდან მოქალაქეებისთვის)

„საარჩევნო განვითარების სკოლა“ 18-24 წლამდე ახალგაზრდებისთვის

2019 წელს, ცესკომ და სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი), ევროპის საბჭოს (CoE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, განახორციელეს პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მეხუთე ეტაპი. პროექტის მოქმედების არეალი გაფართოვდა და ჩატარდა თბილისის 27 სკოლასა და 25 მუნიციპალიტეტში². მესამე წელია სკოლა მოქმედებს ახმეტის მუნიციპალიტეტში, სადაც მონაწილეობა მიიღეს პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა. მნიშვნელოვანი იყო ღონისძიებების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, კერძოდ გარდაბანში, ახალციხესა და მარნეულში.

2019 წლის 15-26 ივლისის პერიოდში, განხორციელდა ათდღიანი სასწავლო კურსი 18-24 წლის ახალგაზრდებისთვის. მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: სახელმწიფო ინსტიტუტების მოწყობა; უშუალო დემოკრატიის ფორმები; არჩევნების საკანონმდებლო რეგულირება; საერთაშორისო პრინციპები; ევროპის პარლამენტი; საერთაშორისო ორგანიზაციები; დაკვირვება და საარჩევნო დახმარება; არჩევნების ისტორია და სტატისტიკა საქართველოში; 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები; საარჩევნო სისტემები საქართველოში; საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია; არჩევნებში ჩართული მხარეები; გამჭვირვალობა და საჯაროობა; საარჩევნო გარემოს ინკლუზიურობა; გენდერული თანასწორობა; გენდერი და არჩევნები; ამომრჩეველთა რეგისტრაცია; წინასაარჩევნო პერიოდი; საარჩევნო უბნის გახსნა; საარჩევნო უბნის დახურვა (შეჯამება); საარჩევნო დავები; არჩევნების შეჯამება; საარჩევნო ციკლის მიმოხილვა.

სასწავლო კურსი, წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 463-მა ახალგაზრდამ, აქედან, 296 (64%) იყო ქალი და 167 (36%) – კაცი. მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამ რეგიონსა და ახმეტის მუნიციპალიტეტში, წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 62-მა ახალგაზრდამ, აქედან 36 (58%) იყო ქალი და 26 (42%) – კაცი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (1).

ცხრილი 1.

ოლქის N	ოლქის დასახელება	სერტიფიცირებულთა რაოდენობა	ქალი	კაცი
18	ახმეტა	16	10	6
21	გარდაბანი	12	5	7
22	მარნეული	19	10	9
37	ახალციხე	15	11	4
სულ		62	36 (58%)	26 (42%)

„საარჩევნო ადმინისტრატორის საინფორმაციო-სასწავლო კურსები“ 18 წლიდან მოქალაქეებისთვის

საინფორმაციო-სასწავლო პროექტის „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები - საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის“ მიზანია, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო

² ამბროლაური, ახალგორი, ახალციხე, ახმეტა, ბათუმი, ბორჯომი, გარდაბანი, გორი, გურჯაანი, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თელავი, მარნეული, ოზურგეთი, რუსთავი, სამტრედია, საჩხერე, სენაკი, სიღნაღი, ფოთი, ქობულეთი, ქუთაისი, ხონი, ხაშური.

რესურსის ფორმირებას. სწავლების ცენტრმა, შემუშავებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად, უზრუნველყო 153 ტრენერის გადამზადება. პროექტისთვის შემუშავებული მასალა ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. პროგრამა ასევე მოიცავდა სასწავლო მოდულს შშმ პირების საარჩევნო პროცესში ჩართულობის საკითხებზე.

სასწავლო პროექტის I ეტაპი 2019 წლის 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრის პერიოდში, საქართველოს 64 მუნიციპალიტეტში განხორციელდა, ხოლო II ეტაპი 2019 წლის 25 ნოემბრიდან 17 დეკემბრის პერიოდში განხორციელდა³. პროექტი წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 7 751-მა პირმა, აქედან 6 273 (81%) იყო ქალი და 1 478 (19%) კაცი. რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს, პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 12 მუნიციპალიტეტში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (2).

ცხრილი 2.

ოლქის N	ოლქის დასახელება	სერტიფიცირებულთა რაოდენობა	ქალი	კაცი
11	საგარეჯო (I ეტაპი)	100	88	12
11	საგარეჯო (II ეტაპი)	28	25	3
15	ლაგოდეხი	86	63	23
17	თელავი	89	82	7
21	გარდაბანი	108	91	17
22	მარნეული (I ეტაპი)	208	59	149
22	მარნეული (II ეტაპი)	74	14	60
23	ბოლნისი	127	65	62
24	დმანისი	100	49	51
25	წალკა	86	56	30
26	თეთრიწყარო	81	73	8
37	ახალციხე	81	70	11
40	ახალქალაქი	169	83	86
41	ნინოწმინდა	100	55	45
სულ		1437	873 (60.75%)	564 (39.25%)

„არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის

საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის მიზნით, განხორციელდა საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“. სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა, არჩევნები და დემოკრატია, საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი, არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები.

პროექტი განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტის 145 საჯარო სკოლაში, მათ შორის 12 ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტში⁴ განლაგებულ 24 საჯარო სკოლაში. სასწავლო

³ პროექტის II ეტაპი ხორციელდება 8 მუნიციპალიტეტში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, მარნეული, საგარეჯო, გორი, ზუგდიდი, ბათუმი).

⁴ საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, დმანისი, წალკა, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა;

კურსი გაიარა XI-XII კლასის 2 763-მა მოსწავლემ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებმა 457-მა მოსწავლემ.

„სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში“ ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

სასწავლო პროგრამა საარჩევნო სამართლის დარგში, განხორციელდა ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. პროგრამა მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართალში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნების ცნება, არჩევნების სახეები და პერიოდულობა, საარჩევნო სისტემები, საქართველოს საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები, საარჩევნო პროცესი და საარჩევნო პროცესის მართვის ორგანო, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები და მუშაობის წესი, არჩევნებში ჩართული მხარეები, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა, არჩევნების დაფინანსება, კენჭისყრის დრო და ადგილი, საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება/დადგენა, საარჩევნო დავები, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, საქართველოს პარლამენტის არჩევნები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები, თვითმმართველი ქალაქის მერის (თვითმმართველი თემის გამგებლის) არჩევნები, რეფერენდუმი, პლებისციტი. სწავლება გაიარა 23-მა სტუდენტმა.

1.4.1.2 მცირე გრანტების გაცემა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უმცირესობათა თემებისათვის - არჩევნების მნიშვნელობისა შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით

2019 წელს, ცესკომ განსაზღვრა დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებები და ცესკოს განკარგულებების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა 2019 წლის 18 თებერვალსა და 25 ივნისს გამოაცხადა ორი საგრანტო კონკურსი.

2019 წლის 18 თებერვალს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე, ცესკომ განსაზღვრა დაფინანსების შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები⁵:

პირველი მიმართულება – ამომრჩეველთა ინფორმირება 2019 წლის მაისში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური და მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისთვის;

მეორე მიმართულება – ახალგაზრდა ამომრჩეველების საარჩევნო ცნობიერების და სამოქალაქო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

სწავლების ცენტრმა, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, პირველი მიმართულებით დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების ოთხი პროექტი, რომლებიც განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტში. დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 79 660 ლარი, ხოლო მეორე მიმართულებით დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების ოთხი პროექტი, რომლებიც განხორციელდა ქვემო-ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის არეალში. დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 119 852 ლარი.

⁵ ცესკოს 2019 წლის 8 თებერვლის №2/2019 განკარგულებით განისაზღვრა საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებები.

2019 წლის 25 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე, დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად ცესკომ განსაზღვრა - ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისთვის⁶.

სწავლების ცენტრმა, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი) მცხოვრები ამომრჩეველების ინფორმირების მიზნით, დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების რვა პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 236 790 ლარი. პროექტები 2019 წლის 25 სექტემბრიდან - 25 ნოემბრის პერიოდში განხორციელდა.

დამატებითი ღონისძიება

2019 წლის 19 მაისის მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის, ცესკომ განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

№22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში შექმნილი იყო 90 საარჩევნო უბანი: ქართულ-აზერბაიჯანული – 78; ქართულ-სომხური – 8; ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული – 4. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობამ შეადგინა 307 წევრი (აზერბაიჯანულენოვანი – 262; სომხურენოვანი – 45), რომლებმაც გაიარეს ინტენსიური სასწავლო კურსი. მათთვის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ნათარგმნი იყო საარჩევნო დოკუმენტაცია და სახელმძღვანელო ინსტრუქციები.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩეველებისთვის ცესკომ, აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა ერთი საინფორმაციო ვიდეორგოლი „კენჭისყრის დღის პროცედურები“. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველებს საშუალება ჰქონდათ, ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემები, საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად, გადაემოწმებინათ ცესკოს ვებგვერდის საშუალებით.

მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩეველებისთვის, კენჭისყრაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, ითარგმნა და დაიბეჭდა: საარჩევნო ბიულეტენი (ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ენებზე), ამომრჩეველთა ერთიანი სია, ბიულეტენის შევსების წესი და კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

2019 წელს, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა საინფორმაციო კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩეველებს“. კამპანიის ფარგლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში სულ გაიმართა 214 შეხვედრა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში 14 შეხვედრა.

არჩევნებისთვის, აქციის „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი“ ფარგლებში, №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა და მოხალისეებმა ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმების მიზნით, მარნეულის მუნიციპალიტეტის ცენტრსა და სოფლებში⁷ გამართეს 10 აქცია, ხოლო №18 ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის, გამართეს ორი აქცია ხალაწანსა და ოძალოს სოფლებში მცხოვრებ ქისტ ამომრჩეველებთან. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით (პლანშეტი) ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების სერვისი შესთავაზეს. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაავრცელეს შემდეგი ფლაერები: კენჭისყრის დღის

⁶ ცესკოს 2019 წლის 17 ივნისის №128/2019 განკარგულებით განისაზღვრა საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულება.

⁷ აქციები გაიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ყიზილაჯლო; დაბა შაუმიანი; ყულარი; კაპანახჩი; ალგეთი; შულავერი; სადახლო; წერეთელი; თამარისი.

პროცედურები და ცესკოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ არჩევნებში. ამასთან, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისთვის გამართული აქციების ფარგლებში გავრცელებული ყველა საინფორმაციო მასალა ნათარგმნი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, 2019 წელს ცესკოს ინიციატივით, პირველად განხორციელდა სწავლების ცენტრის მიერ საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ერთობლივი თანამშრომლობით, ახალგაზრდა ამომრჩევლებთან შეხვედრები. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ინფორმირება არჩევნებისა და საარჩევნო უფლების, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა, გამართეს ოთხი საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მიიღო 90-მდე პირმა. მსგავსი შეხვედრები გამართეს თეთრიწყაროს, გარდაბნის, ახმეტისა და ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა, სადაც ჯამში მონაწილეობა მიიღო 100-მდე ახალგაზრდამ.

ცესკო რეგულარულად მართავს ღია კარის დღეებს და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო პროცესის ორგანიზებისა და ცესკოს საქმიანობის შესახებ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 36 ახალგაზრდისთვის ცესკოში ჩატარდა ღია კარის დღე. პროგრამის ფარგლებში, გაიმართა სემინარი სახელწოდებით „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და მოეწყო იმიტირებული კენჭისყრა.

1.4.1.3 კომპეტენციის ფარგლებში სამხარეო ადმინისტრაციის ჩართულობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ რეგიონში მოქმედ საინფორმაციო საშუალებებთან. ასევე, საჯარო ინფორმაციის გაცემა ადმინისტრაციიდან შეუზღუდავია. აქტიურია ჩართულობა ცენტრალური უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ იმ ღონისძიებებში, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების გადაჭრისა და მათი სამოქალაქო აქტივობის გაზრდის ამოცანებს ეძღვნება წლის განმავლობაში ჩატარდა 20-მდე შესაბამისი თემატიკის შეხვედრა.

1.4.1.4 სამხარეო ადმინისტრაციაში „ღია კარის“ დღის მოწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ადმინისტრაციის საქმიანობისა და ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის გაცნობის მიზნით - არ გვაქვს ინფორმაცია

1.4.1.5 მუნიციპალიტეტებში ბიუჯეტების საჯარო განხილვაში და სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარებაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვის უზრუნველყოფა -

საანგარიშო პერიოდში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში, საჯარო განხილვის რეჟიმში ხდებოდა ბიუჯეტების შესრულებისა და დაგეგმვის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა, საპროექტო წინადადებების მომზადება, აგრეთვე მოსახლეობასთან შეხვედრები სამხარეო ადმინისტრაციასთან არსებული სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში, რომლებშიც მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები არიან ჩართულები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

შუალედური მიზანი: 1.5. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა: 1.5.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

გაგრძელდა არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა. წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (98 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციურ დაწესებულებებში.

1.5.1.1 რეგიონულ სატელევიზიო გადაცემებში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის თემატიკის შესახებ სპიკერების მონაწილეობა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავდა და რეგიონულ მაუწყებლებში გავრცელდა ერთი საინფორმაციო ვიდეორგოლი; აგროდაზღვევის პროგრამის შესახებ მომზადებული 3 გრაფიკული რგოლი 2 თვის განმავლობაში გადიოდა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში tok tv-ზე და ქვემო ქართლის რეგიონში მარნეულის ტელევიზიასა და მე-4 არხზე.

1.5.1.2 ცხოველთა დაავადებებისა და მცენარეთა მავნებელ დაავადებათა შესახებ ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული საინფორმაციო ბროშურების გავრცელება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაავრცელა 4 500 ერთეული ბროშურა, ფლაიერი და პოსტერი, მათ შორის: 1 500 ერთეული ინფექციური დაავადებების შესახებ; 1 500 ერთეული ცხოველთა რეგისტრაცია/იდენტიფიკაციის შესახებ; 1 500 ერთეული რძისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების შესახებ.

ბროშურები, ფლაერები და პოსტერები მოიცავდა ინფორმაციას შემდეგ ინფექციურ დაავადებებზე: ცოფი, ბრუცელოზი, ნოდულარული დერმატიტი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, ჯილეხი; ასევე, საქართველოში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის შესახებ. მასალა გავრცელდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1.5.1.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საინფორმაციო მასალის (გაზეთები, ბროშურები, ბუკლეტები, საინფორმაციო ვიდეო მასალა და სხვა) გავრცელება

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გავრცელდა სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დამზადებული 20 000 ბროშურა; დარიგდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოშვებული გაზეთი (3 500 ერთეული). მობილური ექსტენციის ფარგლებში გავრცელდა 27 905 ერთეული საინფორმაციო მასალა, მათ შორის 5 100 ერთეული - ქვემო ქართლში, 7 685 ერთეული - სამცხე-ჯავახეთში, 15 120 ერთეული - კახეთში.

დამატებითი ღონისძიება:

სსიპ საინფორმაციო ცენტრმა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ეთნიკური უმცირესობების ენებზე 2019 წელს მოამზადა და გაავრცელა საინფორმაციო მასალები, მათ შორის: „13 მითი ნატოს შესახებ“ (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), „10 მითი ევროკავშირის შესახებ“, საინფორმაციო ბროშურები უვიზო მიმოსვლის შესახებ (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

1.5.1.4 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება

იხილეთ 1.3.3.1. ღონისძიების შესრულების ანგარიში

1.5.1.5 შრომისა და დასაქმების სფეროში (შრომითი უფლებები) განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება

დასაქმების სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჩაატარა ტრენინგ/სემინარი რეგიონული და ცენტრალური მედიისა და დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები) წარმომადგენელთათვის.

2019 წლის განმავლობაში ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან შედგა საინფორმაციო შეხვედრა დასაქმების ხელშეწყობის აქტივობების, შრომის უსაფრთხოებისა და შრომის უფლებების თაობაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები (100 მეტი მონაწილე). მარნეულის მუნიციპალიტეტში ყველა თემის ხელმძღვანელს, დმანისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელებს, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს გადაეცათ საინფორმაციო ბუკლეტები (დაახლოებით 150 ცალი). გარდა ამისა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ორგანიზაცია/დაწესებულებებში ინსპექტირებების დროს პერიოდულად უზრუნველყოფდა საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტების გავრცელებას.

1.5.1.6 გუბერნატორის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე რეგიონში მიმდინარე პროცესების სისტემატური გაშუქება; მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე მასალების განთავსება

ამჟამად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სახელმწიფო ადმინისტრაციის ვებგვერდის მუშაობა შეფერხებულია ტექნიკური ხარვეზოს გამო, მაგრამ აქტიურად ფუნქციონირებს გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), რომელშიც სისტემატურად შუქდება რეგიონისა და მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე საქმიანობები.

1.5.1.7 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა შესაბამისი სახელმწიფო მაუწყებლობით

პენიტენციურ დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობს 20 სატელევიზიო არხი.

შუალედური მიზანი 1.6: ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

ამოცანა: 1.6.1 „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესრულება და „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპული ქარტიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ჩატარებული საინფორმაციო კამპანიის შედეგად გაუმჯობესდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირების დონე სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. კერძოდ, ადამიანის უფლებების, ეთნიკური უმცირესობების დაცვის, მათ შორის საერთაშორისო მექანიზმების შესახებ.

1.6.1.1 არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ტრენინგების/შეხვედრების ორგანიზება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის საქართველოს კანონმდებლობის, ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის" გაცნობის მიზნით

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

1.6.1.2 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და „მეგობრობის სახლის“ ორგანიზებით „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციისა და „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპული ქარტიის შესახებ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის გამართვა საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის გზით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

1.6.1.3 საინფორმაციო შეხვედრები ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის გაცნობის მიზნით

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ჩართულობით შეხვედრები გაიმართა ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციისა და მისი შესრულების შესახებ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

1.6.1.4 მედიასთან თანამშრომლობის გაძლიერება, შესაბამის უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაცია, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია და რეგიონის მუნიციპალიტეტები თანამშრომლობენ, როგორც ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების, ასევე ქვეყანაში მოქმედ საინფორმაციო სააგენტოებთან;

ამოცანა: 1.6.2 საჯარო მოსამსახურეთა და ეთნიკურ უმცირესობათა სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სფეროში

1.6.2.1-1.6.2.2 სამართალდამცავების გადამზადება დისკრიმინაციის საკითხებში

- 2019 წლის იანვარიდან დღემდე, ევროპის საბჭოსა და ეუთოს მხარდაჭერით, დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩატარდა ათი ტრენინგი (ერთი ეუთოს მხარდაჭერით, შვიდი ევროპის საბჭოს პროექტის “დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში” ფარგლებში), რა დროსაც გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების 46 მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომელი და 80 რიგითი თანამშრომელი;
- ამასთანავე, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით 2019 წელს შს სამინისტროში დაინერგა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გამომძიებლები გაივლიან გადამზადებას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე. ტრენინგ მოდული შემუშავებული იქნა როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე თემატური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გამომძიებლებისათვის შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ხარისხის ზრდა და პრაქტიკის სისტემატიზაციის მიზნით სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა. დოკუმენტი მოიცავს ზემოაღნიშნული კატეგორიის

დანაშაულთა იდენტიფიცირებასა და ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებულ თემებს. კერძოდ, რეკომენდაცია აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისა და დისკრიმინაციის ნიშნების განმარტება, ინფორმაცია აღნიშნული დანაშაულის სავარაუდო სამიზნეებისა და გამოძიების მეთოდოლოგიის შესახებ, გამომძიებლის დაზარალებულთან ურთიერთობის სტანდარტები, შეუწყნარებლობის მოტივის გამოსაკვეთად გასათვალისწინებელი გარემოებები და კითხვები, რომელთა დასმაც სავალდებულოა დაზარალებულის, მოწმისა და ბრალდებულის გამოკითხვის პროცესში. რეკომენდაციაში წარმოდგენილია როგორც თეორიული ინფორმაცია, ასევე, პრაქტიკული მაგალითები, რაც ხელს შეუწყობს გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ მიერ შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირებას და გამოძიების ეფექტიანად წარმართვას. დოკუმენტის შექმნის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა ევროპის საბჭოს ექსპერტებთან, სახალხო დამცველის ოფისსა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გაიგზავნა შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებში.

1.6.2.3 არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ტრენინგების/შეხვედრების ორგანიზება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპული ჩარჩო კონვენციის გაცნობის მიზნით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

1.6.2.4 გასვლითი შეხვედრების ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მათი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ რეგიონში მოქმედ საინფორმაციო საშუალებებთან. ასევე საჯარო ინფორმაციის ადმინისტრაციიდან შეუზღუდავად გაიცემა. აქტიურია ჩართულობა ცენტრალური უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ იმ ღონისძიებებში, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების გადაჭრისა და მათი სამოქალაქო აქტივობის გაზრდის ამოცანებს ეძღვნება.

1.6.2.5 იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების გზით, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ

2019 წლის იანვრიდან იუსტიციის სასწავლო ცენტრი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტის ოფიცრებისთვის ორგანიზებას უწევს „ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსს“. კურსის ფარგლებში, გათვალისწინებულია 5-7 საათიანი ტრენინგი - „რა არის დისკრიმინაცია?“. ტრენინგი მაქსიმალურად ითვალისწინებს მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკას და საქმიანობის თავისებურებებს. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტისა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებითა და გაეროს განვითარების პროგრამისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია “ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები”. შეხვედრაზე იქნა განხილული, თუ რა როლი აქვს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის განვითარებას, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას,

ადამიანის უფლებათა პოლიტიკასა და სტრატეგიას გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში.

დამატებითი აქტივობები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში (სამოქალაქო ოფისი, გენერალური შტაბი, საქართველოს თავდაცვის ძალები) დასაქმებული პირების განწყობებისა და დამოკიდებულებების გამოვლენისთვის სამუშაო გარემოს, კოლეგებისა და ხელმძღვანელების მიმართ, ასევე, განვითარების თანაბარი შესაძლებლობებისა და შევიწროების, მათ შორის სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ მდგომარეობის შესწავლისთვის, 2018-2019 წლებში განხორციელდა ორგანიზაციული კლიმატის კვლევა - „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოს თავდაცვის ძალებში: ორგანიზაციული შეფასება“. პროექტი დაფინანსებული იყო NATO-ს SPS Programme-ის ფარგლებში და საქართველოს მთავრობის, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის თავდაცვის სამინისტროების ერთობლივი მუშაობის შედეგს წარმოადგენს.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული რაოდენობრივი (კითხვარები) და თვისებრივი (ფოკუს ჯგუფები) მეთოდების საშუალებით მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მომზადდა ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები. რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებული იქნება თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის ახალ, 2020 წლის სტრატეგიაში და სამხედრო პერსონალის რეკრუტირების კონცეფციაში. ეს უკანასკნელი ამჟამად სამუშაო ვერსიაა და დახვეწის პროცესშია.

კვლევის ანგარიში ორგანიზაციის შიდა დოკუმენტია, თუმცა ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, სსიპ- თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში ორგანიზება გაუწიეს შეხვედრას და 2019 წლის 20 სექტემბერს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებს, გააცნეს კვლევის მეთოდოლოგია, შედეგები და გამოცდილება.

საქართველოს უსაფრთხოების სექტორში გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარეობს სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების დოკუმენტების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს და დაეხმარება თავდაცვის სამინისტროს ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შეასრულებაში.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და თავდაცვის სამინისტროს „გენდერული თანასწორობის სტრატეგიის“ თანახმად, რეგულარულად ხორციელდებოდა თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გენდერული მრჩეველების ტრეინინგები, სამინისტროს სისტემაში გენდერულ ნიადაგზე გასაჩივრების მექანიზმების გაუმჯობესების ღონისძიებები, სამხედრო განათლებისა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა მომზადების პროცესში გენდერის საკითხების სისტემატიზაცია.

2019 წელს გადასროლის წინა მომზადებაში მყოფ, ცენტრალური აფრიკისა და ავღანეთის მისიებში გასაგზავნ 1530 სამხედრო მოსამსახურეს (კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების ფასეულობების გათვალისწინებით) ჩაუტარდა სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპების, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის, ასევე პოსტრავმული ფსიქოლოგიური აშლილობის რისკის გათვალისწინებით ოჯახური ძალადობის შესახებ.

გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს, ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 1325 და შემდგომი რეზოლუციები, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლებები ინტეგრირებულია ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო სწავლების ყველა კურიკულუმში და აგრეთვე სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების პროგრამებში.

სტრატეგიული მიზანი 2

თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

შუალედური მიზანი 2.1. სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა

ამოცანა: 2.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

2.1.1.1 საინფორმაციო კამპანია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ჯანდაცვის, ეკონომიკის, ფინანსთა, იუსტიციის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ჩართულობით. კამპანიის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა აღნიშნული სამინისტროების მიერ განხორციელებულ და მიმდინარე მნიშვნელოვან პროექტებზე, მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ. აღნიშნულ რეგიონის 4 მუნიციპალიტეტში ჩატარდა 11 შეხვედრა.

2.1.1.2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დაგეგმილი მობილური ექსტენციის ფარგლებში ფერმერებთან საინფორმაციო - საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება

მობილური ექსტენციის ფარგლებში ჩატარდა 382 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა, მათ შორის: 279 - ქვემო ქართლში, 57 - სამცხე-ჯავახეთში, 46 - კახეთში. ასევე, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარდა 35-40-მდე საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრა. ბენეფიციართა რაოდენობა: 800-1,000-მდე.

2.1.1.3 კოოპერატივების მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარდა 4 საინფორმაციო შეხვედრა, აქედან 2 სამცხე-ჯავახეთში (ქ. ახალქალაქში, ახალქალაქისა და ნინოწმინდის კოოპერატორებთან და დაინტერესებულ ფერმერებთან და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიაში, კოთელიისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან); 2 ქვემო ქართლში (წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში).

ოთხივე შეხვედრის ძირითად თემას წარმოადგენდა „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის N265-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში ახალქალაქის, წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში ასაშენებელი რძის გადამამუშავებელი საწარმოების, კოოპერატივებისათვის გადაცემის პირობები, ასევე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N150-ე დადგენილებით დამტკიცებული „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილეობის პირობები და კოოპერატივის

შექმნით დაინტერესებულ პირთათვის, კოოპერატივის შექმნასთან და საქმიანობის პრინციპებთან დაკავშირებული კონსულტაციები.

აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, ქ. ახალქალაქში, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 20-მდე პირმა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიაში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ძირითადად კოოპერატივების მეპაიეები დაახლოებით 35-მდე პირი, ქ. დმანისში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ზემოაღნიშნულ პროგრამებში მონაწილე კოოპერატივების მეპაიეებმა და ფერმერებმა, დაახლოებით 25-მა პირმა, ხოლო ქ. წალკაში ჩატარებულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 20-მა პირმა.

2.1.1.4 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი გარემოს ფორმირება, სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, ტრანსასაზღვრო ეკონომიკური კავშირების გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარდა საინფორმაციო სახის შეხვედრები საქართველოს რეგიონებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, კერძოდ პანკისის ხეობასა და სოფელ იორმულანლოში, სადაც მოხდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების პრეზენტაცია და პროგრამებში ჩართვის პირობების გაცნობა.

დამატებითი აქტივობა:

სამცხე ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში პროგრამა „აწარმოე საქართველოში“-ს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ინდუსტრიული მიმართულებით, 2019 წელს ახალი ხელშეკრულება გაფორმდა 22 სასტუმროსა და 15 საწარმო პროექტთან დაკავშირებით. ამ 37 პროექტის სავარაუდო ჯამური ინვესტიციის მოცულობა 107 მილიონ ლარს აჭარბებს, კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხის მოცულობა კი 56 მილიონ ლარზე მეტია. პროექტების ფარგლებში შეიქმნება 950-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი. პროგრამა „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის“ ფარგლებში კახეთსა (10 პროექტი) და სამცხე-ჯავახეთში (14 პროექტი) დაფინანსებული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 62.4 ათასი ლარით.

2.1.1.5 მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა 2019 წელს არ განხორციელებულა.

დამატებითი ღონისძიება:

2019 წელს სსიპ "საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის" მიერ განხორციელებული აქტივობა:

- ❖ მარნეულში ჩატარდა 2 ტრენინგი სასტუმროს მომსახურების უნარ-ჩვევებში და გადამზადდა ტურიზმის სფეროში დასაქმებული 60-მდე ადამიანი;
- ❖ პანკისის ხეობაში მოინიშნა ტურისტული საფეხმავლო 8 ბილიკი.

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ“ 2019 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- ❖ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაიცა ინტერნეტში ჩართვის 115 ვაუჩერი, კერძოდ: ადიგენი, ახალქალაქი, ახალციხე, ახმეტა, დმანისი, ნინოწმინდა, წალკა.

- ❖ ჩატარდა ტრენინგები ელექტრონულ წიგნიერებაში ადგილობრივი მეწარმეებისთვის, რომელსაც ჯამში დაესწრო 86 მეწარმე. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ადიგენი, ახალქალაქი, ახალციხე, ახმეტა, გარდაბანი, თეთრიწყარო, მარნეული.

2.1.1.6 სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს ორგანიზებითა და მარნეულის და დმანისის მუნიციპალიტეტების მერებთან კოორდინაციით, ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში. გარდა ამისა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჩართულობით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარდა 4 შეხვედრა.

2.1.1.7 არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზება ქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებული ეკონომიკური პროგრამებისა და სერვისების გაცნობის მიზნით

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

2.1.1.8 ქ. ბათუმის „მეგობრობის სახლის“ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკისა და 2019-2020წწ. სამოქმედო გეგმის გაცნობა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

2.1.1.9 ინფრასტრუქტურული სამუშაოები: გარე განათების მოწყობა, წყლის სათავე-ნაგებობაზე სადრენაჟე სისტემის გაწმენდა-რეაბილიტაცია და ნაგებობის შემოღობვა, შიდა საუბნო გზების მოასფალტება, საცალფეხო ხიდის მოწყობა, გზების რეაბილიტაცია

2019 წელს კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

ახმეტის მუნიციპალიტეტი:

- ❖ მუნიციპალური განვითარების ფონდი: 1 პროექტი - 400 000 ლარი;
- ❖ სახელმწიფო ბიუჯეტი: 1 პროექტი - 75854 ლარი;
- ❖ რეგიონული განვითარების ფონდი: 3 პროექტი - 494 598 ლარი;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა: 16 პროექტი - 116 705 ლარი;
- ❖ ადგილობრივი ბიუჯეტი 4 პროექტი - 46458 ლარი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი:

- ❖ ადგილობრივი ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა: 3 პროექტი - 53 000 ლარი

თელავის მუნიციპალიტეტი:

- ❖ რეგიონული განვითარების ფონდი 2 პროექტი - 500 200 ლარი;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი:

- ❖ რეგიონული განვითარების ფონდი: 6 პროექტი - 1142349 ლარი;
- ❖ ადგილობრივი ბიუჯეტი: 1 პროექტი - 15372 ლარი;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა: 14 პროექტი - 187309 ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი:

- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა: 12 პროექტი - 198100 ლარი

ყვარლის მუნიციპალიტეტი:

- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა: 6 პროექტი - 79531 ლარი,
- ❖ სახელმწიფო ბიუჯეტი: 3 პროექტი - 110698 ლარი.

2019 წელს კახეთის რეგიონში სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ გაიცა მშენებლობის 70 ნებართვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე, რაც მთლიანი მომართვიანობის 65% შეადგენს.

ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სკოლების, ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა არაერთი პროექტი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარჯმა საერთო ჯამში შეადგინა ჯამში - 2 582143 ლარი;

- ❖ რეგიონული განვითარების ფონდის ხარჯი - 983 168 ლარი;
- ❖ მუნიციპალური ხარჯი - 1 367501 ლარი;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხა - 231 474 ლარი;

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

2019 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში 57 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, სულ - 3 942 8196 ლარი.

- ❖ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო - 1 600 4856 ლარი;
- ❖ რეგიონული განვითარების ფონდის ხარჯი - 1 552 680 ლარი;
- ❖ სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 589 834 ლარი;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხა - 1 034 217 ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტი

2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში 59 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა- სულ - 5 861 532 ლარი

- ❖ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო - 1 827 848 ლარი;
- ❖ რეგიონული განვითარების ფონდის ხარჯი - 2 687 592 ლარი;
- ❖ სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 155 576 ლარი;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხა -1 190 516 ლარი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

2019 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში (7 სოფელი) ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა- სულ- 8 პროექტი - 1 773 000 ლარი;

- ❖ რეგიონული განვითარების ფონდის ხარჯი - 1 667 000 ლარი;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხა 106 000 ლარი;

წალკის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 19 სოფელში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯა სულ 4 455 959 ლარი;

- ❖ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა - 1 679 319 ლარი;
- ❖ ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 2 776 40 ლარი.

მარნეულის მუნიციპალიტეტი

მარნეულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განხორციელდა 50 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენდა 19 044 606 ლარს.

- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 77 პროექტი განხორციელდა საერთო ღირებულებით 11 953 300 ლარი;
- ❖ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო - 48 080 ლარი;
- ❖ რეგიონული განვითარების ფონდის ხარჯი - 1 232 000 ლარი.

2.1.1.10 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი გარემოს ფორმირება, სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური კავშირების გაძლიერების ხელშეწყობა - სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია ჩართულია ბიზნესის ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამების საინფორმაციო კამპანიებში, ამ მხრივ აღსანიშნავია პროგრამები „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, რომელთა პრეზენტაციები სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობით წლის განმავლობაში 3-ჯერ ჩატარდა.

2.1.1.11 ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები - ხდება

გზების, სასმელი წყლის სისტემების, ხიდების, მინი სტადიონების, სკოლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და სხვა ობიექტის რეაბილიტაცია/მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განხორციელდა 144 პროექტი, საერთო ღირებულებით 19 813 000 ლარი. კერძოდ:

- ❖ ახალციხის მუნიციპალიტეტში - 41 პროექტი, საერთო ღირებულებით - 7 109 172 ლარი;
- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში - 58 პროექტი - ჯამური ღირებულებით 6 210 611 ლარი;
- ❖ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - 44 პროექტი, ჯამური ღირებულებით 5 818 434 ლარი;
- ❖ ასპინძის მუნიციპალიტეტში - 1 პროექტი, ჯამური ღირებულებით 674 784 ლარი.

ამოცანა: 2.1.2 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

2.1.2.1 საინფორმაციო შეხვედრები ქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამებისა და სერვისების გაცნობის მიზნით

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

2.1.2.2 სოციალურად დაუცველი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ოჯახების დახმარება

„მეგობრობის სახლში“ მოქმედი ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობების მიერ, სხვადასხვა რელიგიურ ღონისძიებებზე, ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გარკვეული ნაწილით განხორციელდა შესაბამისი ეთნიკური უმცირესობების სოციალურად შეჭირვებული ოჯახების დახმარება, მათთვის სასურსათო პროდუქტების გადაცემა. კერძოდ, 2019 წლის მეორე და მეოთხე კვარტალში ერთჯერადი დახმარება გაეწია რუსული, უკრაინული და გერმანული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ სოციალურად დაუცველ 326 ოჯახს.

2.1.2.3 ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია⁸

სხვადასხვა პროექტების, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების გზით ხელი შეეწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. განხორციელდა გზების რეაბილიტაცია, გარე განათებისა და შიდა გზების მოწყობა, სარწყავი და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია და სხვა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

⁸ იხილეთ დანართი 1

პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 38 პროექტი საერთო ღირებულებით 24 413 867 ლარი, მათ შორის რგფ თანხა - 21 635 672 ლარი;

- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 1 პროექტი; ღირებულებით - 687 718 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა - 653 332 ლარი.

ქვემო-ქართლის რეგიონი

- ❖ ქვემო-ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში (რუსთავი, ბოლნისის, დმანისი, გარდაბანი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 67 პროექტი, საერთო ღირებულებით - 44 715 268 ლარი, მათ შორის რგფ თანხა - 38 539 369 ლარი.

კახეთის რეგიონი

- ❖ კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში (ახმეტა, ლაგოდეხი) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 28 პროექტი, საერთო ღირებულებით - 10 135 576 ლარი, მათ შორის რგფ თანხა - 9 459 892 ლარი.

2.1.2.4 მუნიციპალიტეტებისა და სხვა უწყებების სოციალური პროგრამებით ეთნიკური უმცირესობების მიერ სარგებლობისა და თანაბარი განაწილების ხელშეწყობა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ სხვადასხვა სოციალურ პროგრამებს. 2019 წლის განმავლობაში ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში 2 234 591 ლარის ოდენობის დახმარება მიიღო 22790 ბენეფიციარმა, მათ შორის 1 220 285 ლარი ეთნიკური უმცირესობების 8145-მა წარმომადგენელმა. კერძოდ:

- ❖ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ 366 000 ლარის ფინანსური დახმარება აღმოუჩინა 1370 ბენეფიციარს, რომელთაგან 1020 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია, რომლებმაც მიიღეს 258 000 ლარის დახმარება;
- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში 736580 ლარის დახმარება მიიღო 1658 ბენეფიციარმა, რომელთაგან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია 1359, რომლებმაც მიიღეს 61362 ლარის დახმარება.
- ❖ ახალციხის მუნიციპალიტეტში 19762 ბენეფიციარმა 1132011 ლარის დახმარება მიიღო, რომელთაგან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია 5730, რომლებმაც მიიღეს 350923 ლარის დახმარება.

სამოქმედო გეგმის მიღმა დამატებით განხორციელებული ღონისძიებები:

კახეთის რეგიონში 2019 წელს მუნიციპალიტეტების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 1100-ზე მეტ ბენეფიციარს 284 903 ლარის ოდენობით.

- ❖ **ახმეტის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობის სოციალური დახმარების 2019 წლის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო კუთხით დახმარება გაეწია ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 173 წარმომადგენელს, (58 944 ლარი), ხოლო სოციალური კუთხით — 32 ბენეფიციარს 5710 ლარის ოდენობით;
- ❖ **თელავის მუნიციპალიტეტში** მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მუხლიდან 2019 წელს გაიხარჯა 57658 ლარი;
- ❖ **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში ისარგებლა ეთნიკური უმცირესობის 376 წარმომადგენელმა და ჯამში გახარჯული იქნა 53 663 75 ლარი;

- ❖ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში განხორციელებული სოციალური პროგრამები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ამბულატორიული მკურნალობის, ოპერაციების, მედიკამენტების, რეაბილიტაციისა და გამოკვლევების თანადაფინანსება თანხის 50-70%-ით, დაკმაყოფილდა 119 მოქალაქე, გაცემულია 76545 ლარი (მათ შორის ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება);
- ❖ ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში ისარგებლა ეთნიკური უმცირესობის 95-მა წარმომადგენელმა და ჯამში გახარჯული იქნა 21263 ლარი.

სტრატეგიული მიზანი 3

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხიან განათლებასთან წვდომის უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ წვდომა განათლების ყველა საფეხურზე (სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული) მათ შორის მშობლიურ ენაზე. საქართველოში 207 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 84 არაქართულენოვანი სექტორია.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ღონისძიება და პროგრამა, რომელიც ემსახურებოდა შემდეგი პრიორიტეტული მიზნების განხორციელებას:

- ❖ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის სკოლამდელი განათლების შესაძლებლობების გაზრდა და ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
- ❖ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ❖ პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ❖ სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება.

შუალედური მიზანი: 3.1 სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

ამოცანა: 3.1.1 სკოლამდელი განათლების პროგრამის შემუშავება, სასწავლო რესურსების მოძიების შექმნა, აღზრდელ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადება

3.1.1.1 წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობის მეორე ეტაპის განხორციელება (მშენებლობის დასრულება და ინვენტარით აღჭურვა)

წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასრულდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სამშენებლო სამუშაოები. სულ აშენდა 4 საბავშვო ბაღი.

3.1.1.2 გარდაბანში აღათაკლია - ყარათაკლიაში ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპის განხორციელება, ასევე სკოლამდელი მზაობის პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში

გარდაბნის მუნიციპალიტეტში აშენდა 5 ბაგა-ბაღი. ამჟამად მიმდინარეობს 1 ბაღის მშენებლობა.

3.1.1.3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არაქართულენოვანი ჯგუფების ფორმირებისა და სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა. არაქართულენოვანი საბავშვო ბაღების მატერიალურ - ტექნიკური ბაზით აღჭურვა, სწავლებისა და აღზრდის სათანადო პირობების შექმნა

წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების 7 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას, საერთო ღირებულებით 1 121 348 ლარი.

დამატებითი ღონისძიება:

ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებულ 12 საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. 11 საბავშვო ბაღში მიმდინარეობს ინტეგრირებული სწავლება ქართულ ენაზე. სოფლებში ნახიდური, მუხრანა და ბოლნისი ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო დღის ცენტრები.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში - პანკისის ხეობის საბავშვო ბაღებში (11 ბაღი და 17 ჯგუფი) აქტიურადაა დანერგილი და მიმდინარე წელსაც გაგრძელდება „სასკოლო მზაობის პროგრამით“ მუშაობა.

შუალედური მიზანი: 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე

ამოცანა: 3.2.1 ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება-განვითარება ხარისხიანი ორენოვანი განათლების დანერგვის ხელშესაწყობად

3.2.1.1 ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარება სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ, 2018-2019 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადაზე მონაწილეობა მეორე ტურში 80-მა აზერბაიჯანულენოვანმა, 126-მა სომხურენოვანმა და 180-მა რუსულენოვანმა მოსწავლემ მიიღო. ოლიმპიადის მესამე ტურში 15 სომხურენოვანი და 46 რუსულენოვანი მოსწავლე მონაწილეობდა.

3.2.1.2 სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

2019 წლიდან ყველა სკოლისთვის გაუქმდა სკოლის გამოსაშვები გამოცდები (2019 წლის 8 აპრილს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით), და ძალადაკარგულად გამოცხადდა „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანება.

ამოცანა: 3.2.2 არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

3.2.2.1 საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ჩატარება რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენაზე მხოლოდ იმ აპლიკანტებისათვის, რომლებიც ასწავლიან არაქართულენოვან სკოლებში

2019 წელს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ ზაფხულის საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 2126-მა აპლიკანტმა, რომელთაგან:

- ❖ 880-მა აირჩია ტესტური დავალებების მიწოდება აზერბაიჯანულ ენაზე;
- ❖ 262-მა რუსულ ენაზე;
- ❖ 984 -მა სომხურ ენაზე.

ასევე, აპლიკანტებს მიმდინარე წელს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაში. შესაბამისად, 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

- ❖ 672 აპლიკანტმა აირჩია ტესტური დავალებების მიწოდება აზერბაიჯანულ ენაზე;
- ❖ 140-მა რუსულ ენაზე;
- ❖ 753-მა სომხურ ენაზე.

საანგარიშო პერიოდში, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრმა განახორციელა არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის მიზანიც, სახელმწიფო ენის გაძლიერების გზით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა და, ასევე, სკოლის ბაზაზე არაფორმალური სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაა. პროგრამის ამოცანებია:

- ❖ ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენაზე ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფა ზოგადი განათლების საფეხურზე;
- ❖ სახელმწიფო ენის პედაგოგთა კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში;
- ❖ ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებისათვის საერთო კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა არაფორმალური განათლების გზით.

პროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის 175 არაქართულენოვან საჯარო სკოლაში, საკადრო დეფიციტის შევსების მიზნით, 2018-2019 სასწავლო წელს მივლენილი იყო 285 მასწავლებელი (121 კონსულტანტ-მასწავლებელი, 85 დამხმარე მასწავლებელი და 77 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით). 2019-2020 წელს პროგრამის მონაწილეების რაოდენობა შეიცვალა: 169 სკოლაში წარმოდგენილია 121 კონსულტანტ-მასწავლებელი, 75 დამხმარე მასწავლებელი და 69 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი.

მუნიციპალიტეტი	დაფარული სკოლების რაოდენობა	მონაწილეების რაოდენობა	კონსულტანტ- მასწავლებელი	დამხმარე მასწავლებელი	ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი
ახალქალაქი	24	31	17	8	6
ახალციხე	11	13	1	9	3
ახმეტა	1	2	0	2	0
ბოლნისი	19	32	15	9	8
გარდაბანი	14	29	10	13	6
დმანისი	4	5	3	2	0
ლაგოდეხი	2	3	0	2	1
საგარეჯო	4	7	4	1	2
წალკა	8	11	6	2	3
ნინოწმინდა	23	30	13	3	14
მარნეული	59	101	52	23	26
სულ	169	265	121	75	69

დამატებითი ღონისძიებები:

„არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში (მარტი-ივლისი) სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების პირველ ნაკადს ჩაუტარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი, რომელშიც ჩართული იყო 306 მსმენელი (ა1 დონე-150; ა2 დონე-89; ა2+ დონე - 46; ბ1 დონე - 21).

2019 წლის ოქტომბრის თვეში სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი დაიწყო მასწავლებლების მეორე ნაკადისთვის. ამ ეტაპზე სახელმწიფო ენის შესწავლელ კურსში ჩართულია 349 მსმენელი.

პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გრძელვადიანი კურსის სამი ტრენინგმოდული (კითხვის მიმართულება, მოსმენა-ლაპარაკის მიმართულება, წერის მიმართულება) აღნიშნული ტრენინგმოდულები ჩაუტარდა არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს. პირველი მოდული - კითხვის მიმართულება გაიარა სამიზნე სკოლების 303 მასწავლებელმა. მეორე მოდული - მოსმენა-ლაპარაკის მიმართულება გაიარა 216 მსმენელმა, მესამე მოდული - წერის მიმართულება მოისმინა 270 პედაგოგმა.

პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებისთვის მოსამზადებელი ტრენინგმოდული, რომელიც მიმდინარე წლის

ოქტომბერში ჩაუტარდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი ქართულის, როგორც მეორე ენის 206 მასწავლებელს.

არაფორმალური განათლების მიმართულებით პროგრამის მონაწილეების მიერ 2019 წელს განხორციელებულმა ქვემოთ ჩამოთვლილმა აქტივობებმა მოიცვა დაახლოებით 11000 მოსწავლე:

- ❖ სასკოლო პარტნიორობის პროექტები;
- ❖ შემეცნებითი პროექტები;
- ❖ ლიტერატურული წრეები;
- ❖ ვიქტორინა: რა? სად? როდის?
- ❖ წიგნიერების კლუბები;
- ❖ პროექტი „კინო სკოლაში“;
- ❖ კალიგრაფიის წრეები;
- ❖ სასწავლო და სოციალური პროექტები;
- ❖ სამოქალაქო კლუბები;
- ❖ მედიაწიგნიერების კლუბები;
- ❖ თავისუფალი გაკვეთილები;
- ❖ ლაშქრობები;
- ❖ თეატრალური წრეები.

შუალედური მიზანი: 3.3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა: 3.2.1 საშეღავათო პოლიტიკის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა

3.3.1.1 ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტირების უზრუნველყოფა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენაზე

ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსება, რომლებმაც უნდა ისწავლონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით და სწავლა გააგრძელონ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში 2019 წლის 6 მარტს განხორციელებული ცვლილებით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამისა, აგრეთვე, სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა, სავალდებულოა ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ზოგადი უნარების გამოცდის, ან ოსური ან აფხაზური ენის გამოცდის ჩაბარება.

2019 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო და აირჩია:

- ❖ ზოგადი უნარები სომხურ ენაზე - 573 აბიტურიენტი;
- ❖ ზოგადი უნარები აზერბაიჯანულ ენაზე - 1887 აბიტურიენტი;

- ❖ ზოგადი უნარები ოსურ ენაზე - 5 აბიტურიენტი;
- ❖ ზოგადი უნარები აფხაზურ ენაზე - 1 აბიტურიენტი;

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მონაწილე, სწავლის გაგრძელების უფლებამოსიერ და სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები:

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	2019 წელი		
	მონაწილეობა მიიღო	სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა	სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა
სომხურენოვანი ზოგადი უნარები	573	436	93
აზერბაიჯანულენოვანი ზოგადი უნარები	1887	893	96
ოსური ენა	5	5	4
აფხაზური ენა	1	1	1

3.3.1.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მათთვის გამოცდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (ღია კარის დღეების ორგანიზება)

2019 წელს ცენტრმა საინფორმაციო შეხვედრები გამართა ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულის, ლაგოდეხის, დმანისისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. ასევე, ქუთაისში, თბილისსა და ბათუმში. ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 1500-მდე აბიტურიენტს.

3.3.1.3 საინფორმაციო კამპანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში

საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი) ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის რეგიონულმა წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეებისთვის 29 შეხვედრა გამართეს, რომელსაც IX-XII კლასის 950-მდე მოსწავლე დაესწრო. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეების ინფორმირება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ. შეხვედრებზე ახალგაზრდებს გადაეცათ ნატოსა და ევროკავშირის თემატიკის საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა საგანმანათლებლო-ინტელექტუალური აქტივობით, კონკურსითა და ვიქტორინის თანხლებით მიმდინარეობდა. გამარჯვებულ მოსწავლეებს წამახალისებელი პრიზებიც გადაეცათ.

3.3.1.4 „1+4 პროგრამის“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა/ამ მიზნით საინფორმაციო შეხვედრებში ჩართულობა

დავით ღმაშენბლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია ყოველ სასწავლო წელს ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების პროგრამას. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს

კანონით განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, ყოველწლიურად, აკადემიის აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხება ეთნიკური უმცირესობის 14 წარმომადგენელი, მათ შორის: 6 ეთნიკურად აზერბაიჯანელი, 6 ეთნიკურად სომეხი, 1 აფხაზი და 1 ოსი. 2019-2020 სასწავლო წლისთვის, აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩაირიცხა 11 მსმენელი, აქედან, 6 აზერბაიჯანულენოვანი, 5 კი - სომხურენოვანი მოქალაქე.

აკადემია ჩართული იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის 2019 საანგარიშო წლის პირველ და მეორე კვარტალში წარმოებულ საინფორმაციო კამპანიაში და მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში გამართულ საინფორმაციო შეხვედრებში. გაიმართა 5 შეხვედრა: აქედან 4 შეხვედრა ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან (დმანისის, ბოლნისისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში), ხოლო 1 შეხვედრა გაიმართა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან.

3.3.1.5 პროექტის „1+4 სტაჟირების პროგრამის, უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“ განხორციელება

სახელმწიფო მინისტრის აპარატის პროექტის "ეთნიკურ უმცირესობათა შორის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა" ფარგლებში თანატოლგანმანათლებლებმა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) 177 სოფელში ჩაატარეს 172 შეხვედრა და სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს (2752 ბენეფიციარს) მიაწოდეს ინფორმაცია უმაღლესი და პროფესიული განათლების, ევროპაში განათლების მიღების შესაძლებლობების, ასევე, 1+4 საშეღავათო პოლიტიკის შესახებ. პროექტი საქართველოს გაეროს ასოციაციისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ (CCIIR) მხარდაჭერით ხორციელდება.

შუალედური მიზანი: 3.4 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

ამოცანა: 3.4.1 პროფესიულ სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაუმჯობესება, აგრეთვე ზრდასრული მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

3.4.1.1 პროფესიული ტესტირების ჩატარება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე, განმცხადებელთა მიერ მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შემთხვევაში

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს 2015 წლიდან აქვთ შესაძლებლობა სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე გაიარონ პროფესიული ტესტირება და სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხონ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჩარიცხვის შემდეგ, პროფესიის დაუფლებამდე ისინი სწავლობენ ქართული ენის მოდულს. არაქართულენოვანი ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2019 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში 90 პირმა გამოთქვა სურვილი პროფესიული ტესტირება გაიაროს სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე, რომელთაგანაც 24 პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში და ჩაერთო ქართული ენის მოდულის სწავლებაში. ხოლო 2019 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში ზემოხსენებულ ენებზე ტესტის გავლის მიზნით დარეგისტრირდა 122 პირი, საიდანაც ჩაირიცხა 52.

ამასთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დაიწყო სამუშაოები ახალქალაქისა (პროექტირება) და მარნეულის (მშენებლობის დაწყების პროცედურები) მუნიციპალიტეტებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიზნით.

რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს პროფესიულ ტესტირებაში აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი მონაწილე აპლიკანტების შესახებ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, 2019 წლის გაზაფხულზე (მაისის თვეში) ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო:

- ❖ აზერბაიჯანულენოვანმა 11 აპლიკანტმა;
- ❖ სომხურენოვანმა 9 აპლიკანტმა;
- ❖ რუსულენოვანმა 35 აპლიკანტმა.

2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაში მაჩვენებლები ასე გადანაწილდა:

- ❖ აზერბაიჯანულენოვანი 19 აპლიკანტი;
- ❖ რუსულენოვანი 66 აპლიკანტი;
- ❖ სომხურენოვანი 8 აპლიკანტი.

3.4.1.2 ეთნიკური უმცირესობების ზრდასრული წარმომადგენლებისათვის ენობრივი ბარიერის დაძლევის მიზნით ქართული ენის შემსწავლელი კურსების შეთავაზება

ქართული ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფად ქ. თბილისის საკრებულო, „მეგობრობის სახლში“ მიმდინარე პროექტით - „ქართული ენის შემსწავლელი კურსების“ მეშვეობით ახორციელებს. 2019-2020 წწ. კურსებს 50-მდე მსმენელი ჰყავს.

3.4.1.3 ქ. ბათუმის „მეგობრობის სახლის“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ქართული ენის უფასო კურსის შეთავაზება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში ვერ განხორციელდა

3.4.1.4 ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების მეცხრე კლასის მოსწავლეებისთვის, კონკურსი სახელწოდებით „მე ვწერ ქართულად“ ჩატარდა, რომლის მიზანიც სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენაზე წერითი კომპეტენციების განვითარება და წახალისება იყო. გამოვლინდა 3 გამარჯვებული, მათ სიგელები და საჩუქრები გადაეცათ. ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.

3.4.1.5 შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალციხის პროფესიული განათლების სასწავლებელ „ოპიზარში“ რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და

სამოქმედო გეგმის გაცნობისა და შრომის ბაზრისა და მოთხოვნადი პროფესიების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით - არ გვაქვს ინფორმაცია

3.4.1.6 არაქართულენოვანი მსჯავრდებულებისათვის სახელმწიფო ენის სასწავლო კურსის უზრუნველყოფა

პენიტენციურ დაწესებულებებში განათლების საჭიროებების მოკვლევისას დგინდება არაქართულენოვანი ბენეფიციარების ქართული ენის სწავლებით უზრუნველყოფის საჭიროებები. 2019 წლის განმავლობაში ქართული ენის სწავლებაში ჩართული იყო 86 ბენეფიციარი.

საანგარიშო პერიოდში სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში მომზადდა სახელმძღვანელო „საკომუნიკაციო ქართული“;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, სწავლა დაასრულა 2018 წელს ჩარიცხულმა (84 ჯგუფი) ეთნიკური უმცირესობის 1342-მა და 2019 წელს ჩარიცხულმა (162 ჯგუფი) 2206-მა წარმომადგენელმა;
- ❖ დაკომპლექტდა 276 სასწავლო ჯგუფი, მათგან 207 მობილური ჯგუფი შედგა 4 ქალაქში, 66 სოფელსა და 7 სამხედრო ბაზაზე. ჩარიცხა ეთნიკური უმცირესობის 3545 წარმომადგენელი;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში ჩატარდა საბოლოო გამოცდები (ტესტირება-გასაუბრება), რომელსაც ესწრებოდნენ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის წარმომადგენლები და გამომცდელები;
- ❖ სკოლა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამას ახორციელებს საველე-საწვრთნელ ბაზებზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც გადიან საწყის საბრძოლო მომზადებას. ალგეთის, ვაზიანის, ოსიაურის, ხცისის, კოჯრის, ორხევისა და ვარციხის სამხედრო ბაზებზე. ენის ფლობის A1 დონის პროგრამით ისარგებლა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა 541-მა რეკრუტმა;
- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ძალისხმევით პროგრამაში აქტიურად ჩაერთო ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების შინაგან საქმეთა ორგანოებში დასაქმებული პირები, სულ გადამზადდა 24 პოლიციელი;
- ❖ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობის 84 სასულიერო პირისგან 4 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და თბილისში დაკომპლექტდა 7 სასწავლო ჯგუფი. სასულიერო პირები აქტიურად ეუფლებიან სახელმწიფო ენას A1 დონეზე;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის, პედაგოგთათვის ტრენინგის ჩატარებისა და პედაგოგთა შეფასების მიზნით გაიმართა 2-დღიანი სამუშაო შეხვედრა ქუთაისში 60 პედაგოგისა და 10 ადმინისტრატორის მონაწილეობით;

- ❖ ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებულ „მეგობრობის სახლთან“ თანამშრომლობით, პროექტის „ვისწავლოთ ქართული“ - ის ფარგლებში, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის 44 წარმომადგენლისაგან დაკომპლექტდა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის 3 მობილური ჯგუფი, რომლებიც A1 და A2 დონეზე ეუფლებიან ქართულ ენას;
- ❖ სკოლამ „world vision international“-თან თანამშრომლობით განახორციელა პროექტი „სახელმწიფო ენის სწავლება უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის“, რომლის ფარგლებშიც A1 დონის პროგრამით გადამზადდა დროებითი თავშესაფრის მქონე 122 პირი;
- ❖ მომზადდა და დაიბეჭდა პროგრამების კატალოგები, საინფორმაციო ბროშურები და სხვა მასალები;
- ❖ ქ. თბილისში გაიმართა კონფერენცია - "სახელმწიფო ენა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის საქართველოში". კონფერენციის ფარგლებში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას, სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკას შორის ხელი მოეწერა ოთხმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით სასწავლო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროექტების განხორციელება;
- ❖ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან, ახალგაზრდულ ცენტრთან, PITA-სა და ენის ამერიკულ ცენტრთან ერთად დაიგეგმა და ჩატარდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული. გაიმართა ესეების კონკურსი თემაზე „ქართული - ჩემი სახელმწიფო ენა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის 30-მა მსმენელმა და კალიგრაფიის კონკურსში გამოვლინდა 7 გამარჯვებული, მათ გადაეცათ სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები;
- ❖ ახალქალაქის მერიის მხარდაჭერით, ახალქალაქში, „დედაენის დღესთან“ დაკავშირებით, კულტურის სახლის კედელზე გაიხსნა "დედა ენის" პანო;
- ❖ სახელმწიფო ენის პოპულარიზების მიზნით მომზადდა სკოლის წარმატებულ მსმენელთა შესახებ ფილმი;
- ❖ სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. ქუთაისში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სკვერში მოწყობილ პავილიონში გამოიფინა სკოლის მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოები, აუდიო დისკები "ისწავლე ქართული აუდიო გაკვეთილებით", საინფორმაციო ბუკლეტები, რომელთა გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდათ სტუმრებს; კალიგრაფიის კონკურსის გამარჯვებულმა ჩაატარა მასტერკლასი.

სტრატეგიული მიზანი 4

ეთნიკური უმცირესობების კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება

შუალედური მიზანი: 4.1 კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლისა და მნიშვნელობის ასახვა

ამოცანა: 4.1.1 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებისაკენ მიმართული საქმიანობის გაუმჯობესება; კოორდინაციის უზრუნველყოფა რეგიონულ და ადგილობრივ ერთეულებთან

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარება/პოპულარიზაციას და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით გაგრძელდა მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

4.1.1.1 კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მიმდინარე წელს ქ. თბილისის საკრებულოს „მეგობრობის სახლის“ ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის აღინიშნა ლატვიის დამოუკიდებლობის 101 წლის იუბილე, რომელსაც 50-მდე სტუმარი ესწრებოდა.

4.1.1.2 ეთნიკურ უმცირესობათა სხვადასხვა სახალხო, კულტურული და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, ასევე საქართველოს ტრადიციული სახალხო, კულტურული და რელიგიური დღესასწაულების ორგანიზებაში ჩართულობა

საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და „მეგობრობის სახლის“ ორგანიზებით განხორციელდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების 15-მდე მნიშვნელოვანი კულტურული სახის ღონისძიება.

4.1.1.3 საზოგადო მოღვაწეების (პოეტები, მწერლები) იუბილეების აღნიშვნა, ლიტერატურული სადამოების მოწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობით; გამოჩენილი მხატვრების იუბილეების აღნიშვნა და გამოფენების მოწყობა

მიმდინარე წელს ეთნიკურად უკრაინელებმა მონაწილეობა მიიღეს ბათუმის ხელოვნების მუზეუმში გამართულ ღონისძიებაში „უკრაინული შემოდგომა“, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ქართველი და უკრაინელი მხატვრების თემატური ნამუშევრების გამოფენა; ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობით „მეგობრობის სახლში“ გაიმართა ღონისძიება „უკრაინული ენის წარმოშობა“ და ნახატების კონკურსი „ლითერინგი“; გაიმართა ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

4.1.1.4 ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელი ნორჩი მხატვარების ნახატების გამოფენის ხელშეწყობა თემაზე „მოსწავლე-ახალგაზრდობის თავალით დანახული საქართველო და ქართველები“

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ნორჩი მხატვრების მხარდასაჭერად გაიმართა თემატური ნამუშევრების გამოფენა.

4.1.1.5 პროექტ „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებისათვის საქართველოს კულტურული ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების მონახულების ხელშეწყობა (ექსკურსიების, ტურების ორგანიზება)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს მასშტაბით გაიმართა 5-მდე საექსკურსიო - სანახაობრივი ტური სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების ინიციატივის საფუძველზე.

დამატებითი ღონისძიება:

პროექტ „შემოიარე საქართველოს“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებისათვის საქართველოს კულტურული ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების მონახულების ხელშეწყობის მიზნით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ შედგა 15 ტური საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, 300 ბენეფიციარი. მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების რიცხვი - 80.

4.1.1.6 - 4.1.1.7 ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართული ღონისძიებები, ლტოლვილთა საერთაშორისო დღე, ლიტერატურული საღამოები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში გაიმართა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება მათ შორის ნოვრუზ ბაირამი, ლიტერატურული/პოეზიის საღამოები, სპორტული ღონისძიებები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, გამოფენები, სახალხო დღესასწაულები (გარდაბნობა, ქოსალარობა, ავასობა, რუსთაველაქობა).

4.1.1.8 ტოლერანტობის კვირეულის ჩატარება

თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

4.1.1.9 ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები (3 და 8 მარტი)

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში კერძოდ, გარდაბნის, ბოლნისის, მარნეულის, დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

4.1.1.10 დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები (26 მაისი)

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში კერძოდ, გარდაბნის, დმანისის, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩატარდა.

4.1.1.11 რეგიონში ჩასატარებელი კულტურული ღონისძიებებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის უზრუნველყოფა

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია აქტიურად უწევს კოორდინაციას იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ფუნქციონირებენ საკლუბო დაწესებულებები, შექმნილია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, სამუსიკო სკოლები. ქ. ახალქალაქში და ქ. ახალციხეში ფუნქციონირებენ სამხატვრო სკოლები, რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში. საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით ჩატარდა არაერთი თემატური ღონისძიება, რაშიც მხატვრული კოლექტივებმა წარმოაჩინეს საკუთარი ეთნოსის კულტურა და ტრადიციები. კერძოდ, გაიმართა სომეხი პოეტების ხსოვნისადმი მიძღვნილი დღეები, სომხური კულინარიის ფესტივალი, ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრებისა და მხატვრული სკოლების ნამუშევრების გამოფენები, ინტელექტუალური ვიქტორინები, სომხური ხალხური ცეკვის ფესტივალები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, ფესტივალი „ჯავახეთის გაზაფხული“, სოფლის დღესასწაულები და სხვა.

შუალედური მიზანი: 4.2 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

ამოცანა: 4.2.1 ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვა

4.2.1.1 ეთნიკურ უმცირესობათა სსიპ ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა - სპექტაკლები, გასტროლები, გამოფენები, გამოცემები, კონცერტები

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის სსიპ ორგანიზაციის წლიურმა ბიუჯეტმა 2019 წელს 1 877 700 ლარი შეადგინა.

მუზეუმები:

- ❖ სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი - ბიუჯეტი 117 500 ლარი; ჩატარდა 26 ღონისძიება;
- ❖ სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი - ბიუჯეტი 48 000 ლარი, ჩატარდა 24 ღონისძიება;
- ❖ სსიპ სმირნოვების მუზეუმი - ბიუჯეტი 60160 ლარი, ჩატარდა 10 ღონისძიება;

აღნიშნული სსიპ მუზეუმების მიერ განხორციელდა 200-მდე ღონისძიება, რომელთა ჯამურმა ბიუჯეტმა 206 000 ლარი შეადგინა.

თეატრები:

- ❖ **სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი**
საანგარიშო პერიოდში სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დაფინანსებამ 175 000 ლარი შეადგინა. წლის განმავლობაში თეატრს რეპერტუარში სამი სპექტაკლი აქვს, მათ შორის, ორი პრემიერით. თეატრმა მონაწილეობა მიიღო ყაზახეთისა და თურქეთის თეატრალურ ფესტივალებში. სპექტაკლებზე დამსწრე მაყურებელთა საერთო რაოდენობა იყო 3 000 მაყურებელი.
- ❖ **სსიპ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის პროფესიული რუსული დრამატული თეატრი**

თეატრის წლიური ბიუჯეტია 1 090 000 ლარი. თეატრს რეპერტუარში 31 სპექტაკლი აქვს, 4 პრემიერით. წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობათა რაოდენობა 152; აქტივობები მოიცავს გასტროლებსაც, როგორც ქვეყნის რეგიონებში (ახალციხე, ბათუმი, ტყიბული, ჭიათურა), ისე საზღვარგარეთ (სომხეთი, უკრაინა, უზბეკეთი, რუსეთი, გერმანია, საბერძნეთი, კვიპროსი).

❖ **სსიპ პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრი**

თეატრის წლიურმა ბიუჯეტმა 400 000 ლარი შეადგინა. მის რეპერტუარში წლის განმავლობაში 11 სპექტაკლი ჰქონდა, აქედან - 6 პრემიერა. თეატრმა გასტროლებზე იმოგზაურა ქვეყნის შიგნით (ამბროლაური, ახალციხე, და სოფლები ქვემო ქართლში: ხოჯორნი, გიულიბაღი, წოფი, მირზოვკა, ხაჩენი). მაყურებელთა საერთო რაოდენობამ 3 000 ადამიანი შეადგინა.

4.2.1.2 კონკურსი ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი ღონისძიებების ხელშესაწყობად

ჩატარდა კონკურსი „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით“. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 10-მა საპროექტო განაცხადმა და გამოვლენილ იქნა 6 გამარჯვებული პროექტი, რომელთა ჯამურმა დაფინანსებამაც შეადგინა 98 846 ლარი.

კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული პროექტების ფარგლებში გამოიცა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი 5 წიგნი-ალბომი და აუდიო-დისკი (სულ 2150 ეგზემპლარი); მოზარდ მაყურებელთა თეატრის დიდ სცენაზე დაიდგა აფხაზური მითებისა და ლეგენდების საფუძველზე შექმნილი სპექტაკლი „სარა ბარა ბოია ბოო“ ანუ „მე შენ მიყვარხარ“. სპექტაკლის პრემიერას 800 მაყურებელი დაესწრო.

გარდა ამისა, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2019 წლის ივნისში დაიწყო საქართველოში ებრაელთა თემის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია, რომლის ფარგლებშიც შედგა შეხვედრები ებრაული თემის წარმომადგენლებთან, მათ შორის ქართულ-ებრაული სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან. ინვენტარიზაციის ფარგლებში ჩატარდა პროექტი „ვასურათებთ ებრაულ ზღაპრებს“ (ქართულ-ებრაული სკოლის უმცროსკლასელებისთვის, მონაწილეობდა 20 მოსწავლე); „ჩემი საყვარელი დღესასწაული“ (ამავე სკოლის უფროსკლასელებისთვის, მონაწილეობდა 8 მოსწავლე).

ასევე დასრულდა სასკოლო კონკურსის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“ პირველი ეტაპი. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა, მათ შორის, არაქართულენოვანი, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლის მოსწავლეებმა (გორელოვკა - რუსულენოვანი; ნინოწმინდა, სოფელი პატარა გონდრიო - სომხურენოვანი; მარნეულის მუნიციპალიტეტი, ზემო სარალი, ჯანდარი - აზერბაიჯანულენოვანი).

4.2.1.3 - 4.2.1.4 საქართველოში არსებული პოლონური მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია-კვლევა

2019 წელს განხორციელდა საქართველოში პოლონური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური მულტიდისციპლინური კვლევისა და ინვენტარიზაციის პროგრამის პირველი ეტაპი - პოლონელ არქიტექტორთა და ინჟინერთა მიერ დაპროექტებული შენობების, პოლონელთა კუთვნილი ან მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული შენობებისა და სხვა ობიექტების ინვენტარიზაცია. ღონისძიების ბიუჯეტმა 94 500 ლარი შეადგინა.

4.2.1.5 პროექტები: „მრავალფეროვანი საქართველო“, „მრავალფეროვანი საქართველო პანკისში“

სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმმა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის, ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით განახორციელა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომლის ბიუჯეტმაც 42 000 ლარი შეადგინა. პროექტის ფარგლებში გაიმართა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის (პანკისის ხეობა) რეგიონების ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ 6 მუნიციპალიტეტსა და 7 სოფელში (ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი, ახალციხე, ახალქალაქი, ახმეტა, სოფლები: დუისი, საკობიანო, ჯოყოლო, დაბა შაუმიანი, ალგეთი, ეშტია, თამარისი). გაიმართა 60 - მდე აქტივობა, მათ შორის, ლექცია-სემინარები, საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ფილმების ჩვენება, სპექტაკლები, გამოფენები, მუსიკალური კონცერტები და ლიტერატურულ-მუსიკალური პერფომანსები. ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობამ 6000-მდე აღამიანა.

4.2.1.6 ნოვრუზ ბაირამის აღნიშვნა

2019 წლის 21 მარტს ქ. თბილისის საკრებულოში ჩატარდა ნოვრუზ ბაირამის კვირეულის დასკვნითი შეხვედრა. მოეწყო გამოფენა. შესრულდა ტრადიციული მუსიკალური ნომრები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 250 სტუმარმა.

4.2.1.7 საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდა აზერბაიჯანელ მხატვართა გამოფენა

სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის მიერ ჩატარდა აზერბაიჯანელი და ქართველი ახალგაზრდა ხელოვანთა ერთობლივი გამოფენა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 70 სტუმარმა.

4.2.1.8 ეთნიკური უმცირესობათა არამატერიალური კულტურის დაცვა და შენარჩუნება. თვალსაჩინო წარმომადგენლებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების აღნიშვნა, გამოფენების მოწყობა, იხილეთ 4.1.1.1

დამატებითი ღონისძიება:

2019 წელს სსიპ "საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის" მიერ განხორციელებული აქტივობა: გამოიცა 2 ტურისტული კატალოგი - „ებრაული მემკვიდრეობა“ და „გერმანული მემკვიდრეობა“.

შუალედური მიზანი: 4.3. კულტურული მრავალფეროვნების წახალისება

ამოცანა: 4.3.1 კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება

4.3.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფროსკლასელების ვიზიტი შსს ადმინისტრაციულ შენობებში და დ. აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში

2019 წლის 19 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ს ეწვივნენ „სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის“ პროგრამის (SCOPE) მონაწილეები, მათ შორის იყო ეთნიკური უმცირესობის 4 წარმომადგენელი. ხოლო, ამავე წლის 4 ოქტომბერს, პროექტის „გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა მოსწავლეებში“ ფარგლებში, „112“-

მა კულტურულ საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის „ჰაიარტუნის“ წევრებს უმასპინძლა, რომელთა შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 19 უფროსკლასელი იყო.

4.3.1.2 საერთაშორისო ორგანიზაცია PH International-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩართულობა

2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია PH International-ის თანამშრომლობით აჭარის, კახეთის, სამეგრელოს, იმერეთის, სვანეთის, ქვემო ქართლისა და გურიის რეგიონებში, სამართლებრივ კულტურაში სამართალდამცავები და პედაგოგები გადამზადდნენ. გადამზადებული პირები უზრუნველყოფენ სკოლის მოსწავლეებისათვის სამართლებრივი კულტურის გაკვეთილების ჩატარებას 2019-2020 წლების განმავლობაში.

4.3.1.3 ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში მდებარე მუზეუმების გაძლიერება საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით, მუზეუმის თანამშრომლების ტრენინგი და დახმარება საგანმანათლებლო პროგრამების და რესურსების მომზადების კუთხით

2019 წლის განმავლობაში დასრულდა ბოლნისში ახალი მუზეუმის მშენებლობა, რომლის მუდმივმოქმედ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქვემო ქართლის რეგიონის მრავალეთნიკურობა. მუზეუმში მზადდება სპეციალური პროგრამები მოსწავლეთათვის. მუზეუმის გახსნა დაგეგმილია 2020 წელს. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში - ბოლნისი, დმანისი, ახალციხე - გადამზადდნენ შერჩეული მუზეუმების თანამშრომლები და შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამები.

4.3.1.4 შეხვედრები ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რაიონების სკოლების პედაგოგებთან მათთვის სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის მიზნით

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

4.3.1.5 „ქართული ენის სწავლება მუზეუმში“ - სამუზეუმო კოლექციებზე დაყრდნობით ქართული ენის სასწავლო პროგრამის შემუშავება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის, როგორც ეროვნულ მუზეუმში შემავალ მუზეუმებში, ასევე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონების რეგიონალურ მუზეუმებში

ეროვნული მუზეუმის მიერ, ექსტერიუს უნივერსიტეტსა (ბრიტანეთი) და „ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის საბჭოსთან“ (ბრიტანეთი) პარტნიორობით შემუშავებულია ორი პროგრამა თემაზე - „ქართული ენის სწავლება მუზეუმში“ 8-16 წლამდე ასაკის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისათვის. პროგრამების მიზანია აუდიტორიისთვის ქართული კულტურის გაცნობა და ქართული ენის შესწავლა მუზეუმების ექსპონატების გამოყენებით.

გარდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა, 2019 წლის 21 მაისს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით, აღინიშნა კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო დღე სუბიშვილების ნაციონალური ბალეტის მონაწილეობით (ბიუჯეტი -13 818 ლარი). აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილ იქნა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ცეკვები. ღონისძიებას დაესწრნენ სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები (350 მონაწილე);

4.3.1.6 საგანმანათლებლო-შემეცნებითი ბანაკების, ტურებისა და ლაშქრობის მოწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

4.3.1.7 გასვლითი თემატური ლექციები და პროგრამები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, მათ შორის გასვლითი „მოგზაური გამოფენები“ (მაგ.: „მრავალკულტურული საქართველო“) თანმხლები საგანმანათლებლო კომპონენტით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა (2) მოგზაური გამოფენა მარტყოფში. გამოფენა გულისხმობდა მარტყოფის სკოლის მოსწავლეებისათვის არქეოლოგიური მოძრავი გამოფენის წარდგენას, არქეოლოგიის ისტორიის შესახებ. გამოფენებს გაეცნო 80-მდე მოსწავლე.

4.3.1.8 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის (როგორც ბავშვებისა და მოზარდებისთვის, ასევე ზრდასრულებისთვის) მუზეუმების კოლექციებისა და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა ტურებისა და სპეციალური პროგრამების მეშვეობით

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის (როგორც ბავშვებისა და მოზარდებისთვის, ასევე ზრდასრულებისთვის) ეროვნული მუზეუმის კოლექციებისა და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა ტურებისა და სპეციალური პროგრამების მეშვეობით (ჩატარდა 18 ტური, მონაწილეთა რაოდენობა - 1500).

4.3.1.9 "მრგვალი მაგიდის" შეხვედრის ორგანიზება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობით. ერთობლივი პროექტის განხორციელება, სადაც ყველა მხარე საკუთარი კულტურის წარმოჩენის შესაძლებლობა ექნება

ქ.თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

4.3.1.10 პროექტის "თბილისის მეგობრობის სახლი" საქმიანობის ხელშეწყობა. ქ. თბილისის საკრებულოს ეროვნული უმცირესობების საბჭოს მჭიდრო კოორდინაცია „მეგობრობის სახლთან“, ერთობლივი ღონისძიებების გამართვა იხილეთ 4.1.1.1

4.3.1.11 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული

4.3.1.12 „ბათუმობის“ დღესასწაულზე ბათუმის კოლონადებთან ეთნიკურ უმცირესობათა ყოფაცხოვრებისა და კულტურული თვითმყოფადობისა და ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ამსახველი გამოფენებისა და სხვადასხვა კონკურსების მოწყობა, ეროვნული სამზარეულოს დაგემოვნება, ხელნაკეთები ნოვთების გამოფენა, გაყიდვა და სხვა

2019 წლის „ბათუმობის“ დღესასწაულის ფარგლებში ღონისძიების ცენტრალურ ნაწილს იკავებდა ე.წ. „მეგობრობის ხეივანი“, სადაც წარმოდგენილი იყო პრომოციული გამოფენა ბათუმის დამეგობრებული ქალაქებისა და ბათუმში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს

შორის. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ბათუმის დამეგობრებული ქალაქების ოფიციალური დელეგაციებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შეხვედრები.

4.3.1.13 პანკისელი პედაგოგებისთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ქ. ბრიუსელში სასწავლო ვიზიტის გამართვა

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთობლივი ინიციატივით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, პირველად განხორციელდა პანკისის ხეობის პედაგოგებისთვის ცნობიერების ამაღლებასა და ჩართულობის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროექტი - „ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ“. პროექტის პირველი ეტაპი 2018 წლის დეკემბრის ბოლოს განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც თბილისში პროექტის მონაწილე პედაგოგებისთვის ევროინტეგრაციის საკითხებზე ორდღიანი სემინარი გაიმართა. პროექტში მონაწილეობა მიიღეს პანკისის ხეობის საჯარო სკოლების პედაგოგმა და დირექტორმა ქალბატონებმა (20 ადამიანი), რომელთაც საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ, ემსჯელათ და განეხილათ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. პროგრამის მეორე ეტაპზე, პროექტის ყველა მონაწილე 2019 წლის 3-7 თებერვალს სასწავლო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა და ადგილზე გაეცნო ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების მუშაობის პრინციპებს. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის სტრუქტურებსა და ნატოს შტაბ-ბინაში, ასევე ადგილობრივი განათლების სისტემისა და ამ მიმართულებით ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრები გაიმართა ბელგიის საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. პროექტი გაშუქდა მედიით.

4.3.1.14 ეთნიკური უმცირესობებისთვის გაიმართება ფოტოგამოფენა „მრავალეთნიკური საქართველო“
2019 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში ჩატარდა 4 ღონისძიება. ფოტოგამოფენები, კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები. კერძოდ, ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ეთნიკურად აზერბაიჯანელი ფოტოგრაფის შახვალად ეივაზის ფოტოგამოფენა გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 200-მა სტუმარმა.

დამატებითი ღონისძიება

19 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში სომეხი პოეტის ჰოვჰანეს თუმანიანისა და კომპოზიტორ კომიტასის 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 80 სტუმარმა.

20 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზმა ჩერქეზული ტრადიციული სტილიზებული სამოსის დეფილეს უმასპინძლა. საგამოფენო დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ ჩერქეზი დიზაინერის მილა არდანის კოლექცია იხილა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 150 სტუმარმა.

4.3.1.15 არაქართულენოვან სკოლებში ეთნიკური უმცირესობებისთვის იგეგმება წიგნადი ფონდით დახმარება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა "ეკვილიბრიუმმა" ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას საჩუქრად წიგნები გადაეცა.

4.3.1.16 საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო ექსკურსიების დაგეგმვა ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების ირგანაისა და სავანეთის სკოლების მოსწავლეებს ჩაუტარდათ ექსკურსია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში

4.3.1.17 საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების სწავლება- ტრენინგი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი აქტივობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა

4.3.1.20 მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ-კულტურათა დიალოგი“ გამართვა საანგარიშო პერიოდში ქ. ლაგოდეხსა და ქ. მარნეულში ჩატარდა მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ-კულტურათა დიალოგი", სადაც ეთნიკური უმცირესობების 210-მა ახალგაზრდამ წარმოადგინა სხავდასხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელი ფოლკლორული ნომრები, შესრულდა კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები.

4.3.1.21 სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიის სხდომები

მომზადდა და სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიას, ასევე, სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ უმცირესობათა საბჭოს წარედგინა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2019 წლის სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მომზადდა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიას წარედგინა - სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015-2018 წწ. სამოქმედო გეგმის შეფასების შუალედური ანგარიში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით უწყებათაშორის კომისიის სხდომა ჩატარდა, სადაც „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის“ შუალედური შეფასების დოკუმენტის სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია გაიმართა. განიხილეს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის (FCNM) ფარგლებში მრჩეველთა კომიტეტის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებული მესამე დასკვნა. საუბრის თემა იყო აგრეთვე საჯარო მმართველობის რეფორმა: სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ახალი მეთოდოლოგია და პროცედურები. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

4.3.1.22 უწყებათაშორის კომისიის თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრები

ჩატარდა სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიის ფარგლებში არსებული თემატური ჯგუფის სხდომა - „მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა“. შეხვედრაზე ექსპერტების, სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობით განხილულ იქნა გამოწვევები და შესაძლებლობები, მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და ზოგადად, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

4.3.1.23 ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოცხადებულ ფოტო და მედიაკონკურსში სახელწოდებით „ჩვენი მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ, მათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

4.3.1.24 დამოუკიდებლობის დღისადმი (26 მაისს) მიძღვნილი ღონისძიების ჩატარება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მარნეულსა და ახალქალაქში განხორციელდა მრავალფეროვანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა კონცერტი, მოეწყო საბავშვო სივრცეები/გამოფენები, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

4.3.1.25 ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი აქტივობა არ განხორციელებულა

4.3.1.26 ეთნიკური უმცირესობების ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა (იხილეთ 4.1.1.11)

დამატებითი აქტივობები:

- ❖ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა პროექტის ”გაიცანი მრავალფეროვანი საქართველო“-ს ფარგლებში მოამზადა ვიდეორგოლების სერია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი წარმატებული და ნიჭიერი თანამოქალაქეების საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით. ვიდეო-რგოლები განთავსდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე და გაიმართა მათი პრეზენტაცია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.
- ❖ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოფის მოსწავლეებისათვის, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ (12 მოსწავლე, 3 პედაგოგი) დაიგეგმა და განხორციელდა კულტურულ-შემეცნებითი ტური თბილისში;
- ❖ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით, გაიმართა შეხვედრები. საინფორმაციო შეხვედრებზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რეგიონებში არსებული ვითარება და პრობლემები განიხილეს. ადგილობრივებმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა, დეტალურად ისაუბრეს მათ საჭიროებებზე.

სამოქმედო გეგმის მიღმა დამატებით განხორციელებული ღონისძიებები:

პანკისის ხეობაში ფუნქციონირებს 5 საჯარო და 2 საბავშვო სკოლა, სადაც განათლებას ეუფლება 1400-მდე ბავშვი. პანკისის ხეობის საჯარო სკოლის ბავშვებმა 2019 წლის განმავლობაში - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული სამსახურის დაფინანსებითა და ინიციატივით მონაწილეობა მიიღეს შემდეგ პროექტებში: ეროვნული მედიაპროექტი „ეტალონი“, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა „რა, სად, როდის?“, „მხიარულთა და საზრიანთა მუნიციპალური და რეგიონალური ტურები“, ევროპის სპორტის კვირეული, ლაშქრობები, შაბათობები და სხვა

კულტურული თუ გასართობი ღონისძიებები. მერიის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, მათ შორის პანკისის ხეობის ოთხივე ადმინისტრაციულ ერთეულში შეირჩა ახალგაზრდა ლიდერთა 5 კაციანი საინიციატივო ჯგუფები, რომელთა ჩართულობით ხეობაში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საუკუნის მთქმელ-პოეტის გაბრიელ გარაშვილის ხსოვნის საღამო (სოფელი-საკობიანო), დასუფთავების აქცია, ფერების ფესტივალი, სპორტული აქტივობა - ჭიდაობა ძიუდოში (სოფლები დუისი და ჯოყოლო), დატრენინგდა და გადამზადდა 20 ლიდერი - ბავშვი პროექტების წერაში; დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების პროექტის ფარგლებში „განავითარე შენი რეგიონი-შენი ქალაქი“- პანკისელი ამინა ხანგოშვილი სხვა მონაწილეებთან ერთად გაემგზავრა კაზადოკიაში (მერიის იგივე სამსახურის დაფინანსებით).

ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-შემეცნებითი სკოლის ბაზაზე სოფელ ჯოყოლოში გახსნილია სახელოვნებო სკოლის ფილიალის - გამოყენებითი ხელოვნების წრე, რომელსაც დაემატა ასევე ხატვის, ფერწერის, ძეგლის, კომპოზიციის შემსწავლელი წრეები. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მოეწყო საზეიმო კონცერტი და ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები. კურსდამთავრებულებს გადაეცათ შესაბამისი დიპლომები.

სოფელ დუისში ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, სადაც ბავშვები იღებენ კლასიკურ სამუსიკო განათლებას.

ა.ა.ი.პ. ახმეტის კულტურის ცენტრი: პანკისის ხეობაში ფუნქციონირებს ოთხი კულტურის სახლი (დუისი, ჯოყოლო, ომალო, საკობიანო), ერთი მუზეუმი (პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი), ხუთი ბიბლიოთეკა (დუისი, ჯოყოლო, ხალაწანი, ომალო, საკობიანო) და მუნიციპალიტეტის ბაზაზე მოქმედი ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „პანკისი“. 2019 წლის განმავლობაში მოხდა წიგნადი ფონდის განახლება, სამუზეუმო ექსპონატების შევსება, სხვადასხვა კულტურულ-გასართობი ღონისძიების ჩატარება: მათ შორის საახალწლო, გაზაფხულისა და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება (დუისის კულტურის სახლი, მარტი), კულტურული მრავალფეროვნების დღე (პანკისის ხეობა, ხადორი, ივლისი), აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ქორეოგრაფიულ-ფოლკლორულმა ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო, პანკისის ხეობაში ახალგაზრდა მოზარდ თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. პანკისელმა სპორტსმენებმა 2018 წელს მონაწილეობა მიიღეს სპორტული სკოლების გრაფიკით გათვალისწინებულ როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებზე სპორტის შემდეგ სახეობებში: ძიუდო, ბერძნულ-რომაული, ათლეტიკაში, რაგბი, კიკ-ბოქსინგი, ფეხბურთი. სულ სპორტის ამ სახეობებით დაკავებულია ხეობის 350-მდე ბავშვი. მათ შორის:

- ❖ **ა.ა.ი.პ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონის“** ბაზაზე პანკისის ხეობაში ფუნქციონირებს ოთხი საფეხბურთო ჯგუფი (სოფლებში: დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი, ომალო), სადაც 80 - მდე ბავშვს ემსახურება ოთხი მწვრთნელ-მასწავლებელი.
 - ❖ **ა.ა.ი.პ ზ.ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლა** - ხეობაში გახსნილია სამი საჭიდაო დარბაზი (სოფლებში: დუისი, საკობიანო, დუმასტური), სადაც ექვს სხვადასხვა ჯგუფში ვარჯიშობს 120-მდე ბავშვი. 2019 წელს დამწყები სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ყველა დონის ტურნირებში, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური და საერთაშორისო მასშტაბის.
- ა.ა.ი.პ კომპლექსური სასპორტო სკოლის** ბაზაზე პანკისის ხეობაში 2019 წლისთვის ფუნქციონირებს ოთხი სპორტული ჯგუფი (კიკ-ბოქსინგი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და ათლეტიკაში), სადაც 150-მდე ბავშვს ემსახურება რვა მწვრთნელ-მასწავლებელი. მიმდინარე წლის განმავლობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა (სკოლის ბიუჯეტის გათვალისწინებით) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სპორტული ინვენტარის შეძენა და სპორტული კალენდარით გათვალისწინებულ ყველა ტურნირში მონაწილეობა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოსა და სოფელ ჭოეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში, როგორცაა 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ფესტივალები, დღესასწაულები.

თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წლის განმავლობაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა 70-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა თელავის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა; ინტელექტუალური პროექტი „რა სად როდის?“, ოლიმპიადა „იცხოვრე სპორტით“; „არქეოლოგიური ბანაკი გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში“.

სოფელ ყარაჯალაში საჯარო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ააიპ „სპორტულ კლუბთა გაერთიანების“ სპორტული სექცია ფრენბურთის წრე, სადაც ვარჯიშობს 27 ახალგაზრდა. ააიპ „თელავის საფეხბურთო სკოლა თელავის“ მიერ ფუნქციონირებს სპორტული სექცია ფეხბურთი წრე, სადაც ვარჯიშობს 28 ახალგაზრდა. ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავში“ სპორტის სახეობა მკლავჭიდაობა, ვარჯიშობს 3 ახალგაზრდა. თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ მუსიკალურ სკოლებში 8 მოსწავლე ეთნიკური უმცირესობის წევრია. თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში 1 მოსწავლე ეთნიკური უმცირესობის წევრია, ხოლო „ააიპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში“ ეთნიკური უმცირესობის 4 წარმომადგენელი იღებს განათლებას. სოფელ ყარაჯალაში ასევე ფუნქციონირებს 1 ბიბლიოთეკა, სადაც 2 900 ბეჭდვითი ლიტერატურა ხელმისაწვდომია, როგორც უფროსებისთვის, ისე ბავშვებისთვის ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. სოფელ ყარაჯალაში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც 2019 წლის მდგომარეობით ირიცხება 204 აღსაზრდელი. დაწესებულებაში 11 კადრი ადგილობრივი თემიდანაა დასაქმებული.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჩატარდა შემდეგი კულტურული ღონისძიებები:

21-22 მარტი, სოფელი კაბალი - „ნოვრუზ ბაირამი“

14 აპრილი, სოფელი კაბალი-ახალგაზრდული ღონისძიება

23-30 სექტემბერი - „ევროპის სპორტის კვირეულის“ ფარგლებში ჰერეთისკარისა და არეშფერანის მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა ფრენბურთში.

15 ოქტომბერი, სოფელი არეშფერანი - „კოსტაობა“

19 ოქტომბერი, სოფელი ჰერეთისკარი - ფესტივალი „აჭარული დღე“

5-6 ივლისი, პროექტი „ერთად ჯანსაღი ცხოვრებისაკენ“ - ტურნირი მინი ფეხბურთსა და ფრენბურთში, მონაწილეობა მიიღეს კაბალისა და ჰერეთისკარის მოსახლეობამ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელს განხორციელებული კულტურული ღონისძიებები:

- ❖ გაიმართა სპორტული ღონისძიება - მინი ფეხბურთი „მეგობრობის თასი“, რომელშიც ქართველ თანატოლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა; ღონისძიება ჩატარდა ლამბალოს საჯარო სკოლის სპორტულ მოედანზე;
- ❖ 26 მაისს გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მოეწყო საზეიმო მსვლელობა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის შეწირულ გმირთა მემორიალურ დაფასთან, კულტურის სახლში გაიმართა კონცერტი.
- ❖ 9 აპრილს გვირგვინებით შეიმკო იორმუღანლოში არსებული ორი ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლთა ხსოვნის მემორიალი (თბილისში 1989 წლის 9 აპრილსა და ბაქოში 1990 წლის 20 იანვარს), ასევე საგარეჯოს N1 საჯარო სკოლის ეზოში მდებარე მემორიალური ქვა.
- ❖ 28 მაისს სოფელ იორმუღანლოში, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის რელიგიურ დღესასწაულ „რამაზანთან“ და მის შემადგენელ დღესასწაულ ორუჯ-ბაირამთან (მარხვა) დაკავშირებით გაიმართა სახალხო შეკრება და საზეიმო ღონისძიება.

დანართი 1

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ქვემო-ქართლის რეგიონი

რუსთავი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში რუსთავის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 16 პროექტი, ჯამური ღირებულებით 12 404 606 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 11 682 203 ლარი;

ბოლნისი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 16 პროექტი, ჯამური ღირებულებით 5 960 886 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 5 590 896 ლარი;

გარდაბანი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 7 პროექტი, ჯამური ღირებულებით 8 114 806 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 6 406 476 ლარი;

დმანისი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 6 პროექტი, ჯამური ღირებულებით 3 320 660 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 687 596 ლარი;

თეთრიწყარო

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 8 პროექტი, ჯამური ღირებულებით 5 202 178 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 4 166 263 ლარი;

მარნეული

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში მარნეულის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 11 პროექტი, ჯამური ღირებულებით 6 294 125 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 4 942 872 ლარი;

წალკა

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3 პროექტი, ჯამური ღირებულებით 3 418 007 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 3 063 063 ლარი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ახალციხე

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 10 პროექტი, ჯამური ღირებულებით 6 455 721 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 5 661 869 ლარი;
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 687 718 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 653 332 ლარი;

ადიგენი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ადიგენის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 434 656 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 205 432 ლარი;

ასპინძა

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 5 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 729 486 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 552 564 ლარი;

ახალქალაქი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 5 პროექტი, ჯამური ღირებულებით 4 438 015 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 4 065 468 ლარი;

ბორჯომი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 10 პროექტი, ჯამური ღირებულებით 5 126 114 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 4 089 417 ლარი;

ნინოწმინდა

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 6 პროექტი, ჯამური ღირებულებით 3 229 875 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 3 060 922 ლარი.

კახეთის რეგიონი

ახმეტა

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 18 პროექტი, ჯამური ღირებულებით 4 578 987 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 4 325 217 ლარი;

ლაგოდეხი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 10 პროექტი, ჯამური ღირებულებით 5 556 589 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 5 134 675 ლარი.